1-ლი მაისი 1930 წ. წელიწადი მეორე ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა



№ 8 (32)

# ქრონიკა



**რეაქციის ტალღა იაპონიაში.**

ამ ბოლო დროს პოლიცია დიდის სიმძაფრით ებრძვის მუშათა მოძრაობას. მასიურად აპატიმრებს კომუნისტებს და მემარცხენე პროფკავშირის წევრებს.

სურათზე: იაპონიის კომპარტიის ბელადი გაკუ-ხანე, რომელიც პოლიციამ დააპატიმრა.



**სინდისის და თავისუფლების „დამცველები“, ანუ ვერაგობა ანაფორის ქვეშ.**

პიი მეთერთმეტე, რომის პაპი, თავის მორწმუნეებს იწვევს ჯვაროსნულ ომისთვის ბოლშევიკების ბარბაროსობის წინააღმდეგ. მაგრამ, ზედმეტი არ იქნება, „წმინდანმა“ გადახედოს თავის წინაპარ „მეუფეებს“. რამდენიმე საუკუნის მანძილზე უწმინდეს ინკვიზიციის მეოხებით შეიმუშავეს ადამიანის ფიზიკური წამება და ცეცხლზე დაწვა. ებრძოდნენ საღ გონებას, როგორც ერესს. ლეონ პაპის დროს გამეფებული იყო გახრწნილება და პორნოგრაფია. ბორჯიამ სადისტურად მოაკვლევინა ათასობით მოწინავე და განათლებული მოღვაწეები. მუსუსი და მსუნაგი სიკსტა მეოთხე ჟაჩალობდა და როსკიპობდა. განსაკუთრებით თავი ისახელა მაროციმ, რომლის დედა სამჯერ გათხოვდა, იყო საყვარელი პაპი სერგი მესამის და დედა ორი პაპის.

სურათზე ნაჩვენებია დედა მარიცია, რომელიც უმზერს პაპის მიერ ბალიშებით ადამიანის დახრჩობას.



**მუროშელ გლეხების სრულიად ევროპის კონგრესი.**

ევროპის აგრარული ქვეყნების სოფლებს, მსოფლიო ომის შემდეგ, ასეთი უდიდესი რევოლუციონური აქტივობა არადროს გამოუჩენიათ, როგორც დღეს გამოიჩინეს.

მმართველ კლასების პოლიტიკამ შეამჭიდროვა გლეხები და გააღრმავა წინააღმდეგობა, გაღატაკებული გლეხობა მიხვდა, თომ ექსპლოატატორებთან წარმატებით ბრძოლა შეიძლება მხოლოდ ორგანიზაციული გზით. ამ მიზნით ბერლინში შესდგა სრულიად ევროპის გლეხების კონგრესი, სადაც მონაწილეობდა 21 სახელმწიფოს დელეგატი.

სურათზე—დანიის, ნორვეგიის და ჰოლანდიის დელეგატები.

---



**მასის კონტროლის ქვეშ**

თბილისის კოოპერატიულ ორგანიზაციებს კონტროლს უკეთებს საგანგებო მუშაქალთა ბრიგადა.—სურათზე: ბრიგადის წევრი-ქალები ამოწმებენ სურ.-სანოვაგეს.



თბილისში, კალინინის სახელობის ქარხანაში საკონტროლო ბრიგადა ამოწმებს ხორბლეულის სალეწ მანქანას.



სამტრედიაში აშენებენ ახალ საბარგო სადგურს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# დროშა

ჲ-76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

145.




ნახატი ირ. თოიძის.

## მეორმოცე წითელი მაისი

1886 წ. პირველ მაისს ჩიკაგოში გაიმართა გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო 500.000 კაცს. მაგრამ რეფორმისტების მერყეობის გამო გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 200.000 მუშამ. 3 მაისს შეტაკება მოხდა გაფიცულებსა და მრეწველების მიერ დაქირავებულ შტრეიკბრეხერებს შორის. პოლიცია, როგორც ყოველთვის, შტრეიკბრეხერებს გამოესარჩლა, სროლა აუტეხა გაფიცულებს და რამდენიმე კაცი მოჰკლა. ამ ამბავის მოწამე ანარქისტმა **შპისმა** სახელდახელოდ დასწერა პროკლამაცია „შურისძიება“ რომელშიც მოუწოდებდა მუშებს შური იძიას დაღუპულ ძმებისათვის. 4 მაისს გაიმართა დიდი საპროტესტო დემონსტრაცია, რომლის დროს პოლიციას ბომბა ესროლეს. პოლიციამ მრავალი მუშა დააპატიმრა. მათგან ოთხს: შპისს პარსონს, ფიშერსა და ენგელსს დახვრეტა გადაუწყვიტეს (ამერიკის ბურჟუაზიას მაშინ კიდევ არ ჰქონდა გამოგონებული ელექტრონის სკამი), დანარჩენებს კი—საკატორღო მუშაობა მრავალი წლით.

„დადგება დრო, როცა ჩვენი დუმილი კუბოში უფრო მჭერმეტყველური იქნება, ვიდრე ჩვენი სიტყვებიო“,—დაიძახა შპისმა, როცა იგი სარჩობელაზე აჰყავდათ.

ამის შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა. შპისისა და მასთან გმირულად დაღუპულ ამხანაგების ძვლებიც კი არ არის დარჩენილი მიწაში, მაგრამ შპისის სიტყვები ახლაც ერთუანტელს ჰგვრის საერთაშორისო ბურჟუაზიას, როგორც იმ მოსამართლეებს, რომელთაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ჩიკაგოს გაფიცვის მეთაურებს.

ორი წლის შემდეგ ჩიკაგოში დატრიალებულ სისხლიან ამბების დღიდან ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობამ, რომელიც (1888 წ.) ქ. სენ-ლუიში შესდგა, 1886 წ. ამბების აღსანიშნავად პირველი მაისი გამოაცხადა მუშათა კლასის ძალების დათვალიერების, პროლეტარული სოლიდარობისა და მოთხოვნილებების დემონსტრაციის დღეთ. იმავე წელს საფრანგეთის მუშათა სინდიკატების მესამე კონგრესმა დააწესა ორი მუშათა დღე: 1) 10 თებ.—მუშათა მოთხოვნილებების წარდგენის დღე და 2) 24 თებ.—წარდგენილ მოთხოვნილებებზე პასუხის მოთხოვნის დღე. ამ დადგენილების შესასრულებლად იმავე წელს

საფრანგეთის 50 ქალაქში გაიმართა მუშათა მასიური დემონსტრაციები. 10 თებერვალს დემონსტრაციები მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, 24 თებერვალს კი მთავრობამ ჯარი და ჟანდარმერია გამოიყვანა გაფიცულების წინააღმდეგ და ქუჩები მუშათა სისხლით შეღება.

ჩიკაგოს ამბები, ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობის და საფრანგეთის მუშათა სინდიკატების კონგრესის დადგენილებები, ცალკე ქვეყნების მუშათა მოძრაობაში მომხდარი ცვლილებები,—ყველაფერი ეს მოწმობდა მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის ახალ აზვირთებას, მუშათა კლასის სტიქიურ ლტოლვას საერთაშორისო გაერთიანებისაკენ, ინტერნაციონალის აღდგენისაკენ.

„ძმებო... ახლოვდება ახალი რევოლიუცია, უფრო გრანდიოზული, ვიდრე საფრანგეთის დიდი რევოლიუცია მე-18 საუკუნეში. საჭიროა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა ინტერნაციონალის აღსადგენათ. დე, თქვენ გულებში უფრო მეტი გამოხმაურება ჰპოვოს, ვიდრე ოდესმე წინათ, ძველმა ლოზუნგმა:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"—ასე სწერდნენ ჯერ კიდევ 1880 წ. ბელგიელი სოციალისტები თავის მანიფესტში.

მაგრამ ინტერნაციონალის აღდგენა მოხერხდა მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ. ბურჟუაზიას უნდა ეგრძნო ინტერნაციონალის აღორძინება. მას უნდა განეცადა ის შიში, რომელსაც პირველი ინტერნაციონალი იწვევდა მასში. ამის საუკეთესო საშუალებას კი წარმოადგენდა მუშათა კლასის ერთდროული გამოსვლა ყველა ქვეყნებში. ამიტომ, როცა მეორე ინტერნაციონალის პირველ კონგრესზე ფრანგმა **ლავიანმა** შეიტანა წინადადება მუშათა საერთაშორისო დღის შემოღების შესახებ, ეს წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. კონგრესს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობის დადგენილებისათვის და პირველი მაისი გამოაცხადა მუშათა საერთაშორისო დღეთ. ამრიგად გამართლდა შპისის წინასწარმეტყველება. 4 დაღრჩობილის ადგილი დაიჭირეს ასეულათასმა, რომელთა რევოლიუციონურმა გუგუნმა ძილი დაუფრთხო ბურჟუაზიას. მაგრამ გარდა ამერიკის შრომის ფედერაციის კონგრესის დადგენილებისა, იყო კიდევ მეორე მომენტი, რომელიც მხედველობაში მიიღო მეორე ინტერნაციონალის პირველმა კონგრესმა, როცა გაზაფხულზე დანიშნა მუშათა საერთაშორისო დღე. მუშათა კლასი ერთად ერთი კლასია, რომელიც საყოველთაო სამართლიანობისა და თანასწორობისათვის იბრძვის, იგი იბრძვის საკაცობრიო იდეალებისათვის, მთელი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის. გაზაფხული—ეს არის წლის ის დრო, როცა ბუნება სძლევს ზამთრის სუსხს, ხეები იმოსება ფოთლებით, ყვავა მინდორ-ველი და არე-მარეს ავსებს ფრინველების ჟრიამული. თუ გაზაფხული არის ბუნების განახლების ხანა, პირველი მაისი—მუშათა კლასის საერთაშორისო დღე—წარმოადგენს განახლების გზაზე დამდგარ კაცობრიობის გაზაფხულს.

„Первое Мая праздник весны,
Мощный прибой пролетарской волны,
Празднуйте Первое Мая".

—ნათქვამია ერთს მუშურ საპირველმაისო სიმღერაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რეფორმისტები პირველსავე დღეებში შეეცადნენ პირველი მაისისათვის წაერთმიათ მისი ნამდვილად რევოლიუციონური შინაარსი. როცა მეორე ინტერნაციონალის პირველი კონგრესის ფრანგმა დელეგატმა **ტრესომ** წამოაყენა წინადადება, რომ პირველი მაისი დემონსტრაციებთან ერთად აღნიშნული ყოფილიყო საერთო გაფიცვით, ეს მაშინდელი დროის ბევრს რევოლიუციონერსაც კი განუხორციელებელ რამეთ მოეჩვენა. ამ წინადადების წინააღმდეგ ამხედრდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისეთი გამოჩენილი ლიდერი და მებრძოლი, როგორიც **ვილჰელმ ლიბკნეხტი** იყო და ამან გადასწყვიტა ტრესოს წინადადების ბედი: ეს წინადადება უარყოფილ იქნა.

მიუხედავათ ამისა, შემდეგ წლებში საპირველმაისო დღესასწაულების დროს მუშები სტიქიურად სწყვეტდნენ მუშაობას.

პირველი საერთაშორისო საპირველმაისო გამოსვლები გაიმართა 1890 წელს, ე. ი. 40 წლის წინად.

„დღეს ევროპისა და ამერიკის მუშები პირველად ახდენენ თავიანთი საერთაშორისო მასშტაბით დარაზმულ საგაფიცვო ძალების დათვალიერებას. ეს სანახაობა თვალს აუხელს კაპიტალისტებს და მემამულეებს იმაზე, რომ ახლა პროლეტარები მთელი ქვეყნებისა მართლა გაერთიანდნენ",—სწერდა 1890 წ. პირველ მაისს კარლ მარქსის თანამებრძოლი და მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის უდიდესი მებრძოლი **ფრიდრიხ ენგელსი**.

„ო, რომ მარქსი მდგარიყო ჩემს გვერდით, რათა თავისი თვალებით ენახა ეს",—მწუხარებით ამოხდა ენგელსს გულიდან.

და თუ ენგელსს ეს სიტყვები ათქმევინა ათეულ თუ ასეულ ათას პროლეტარის გამოსვლამ, რას იტყოდენ მარქსი და ენგელსი ახლა, რომ ცოცხალნი იყონ, როცა პირველ მაისს ქუჩაში გამოდიან **ათეული მილიონი** პროლეტარები, ზურგგამაგრებულნი კოლონიების და ნახევრად კოლონიების ჩაგრულ ხალხების და მშრომელი გლეხობის მიერ!

მართლაც, საერთაშორისო მუშათა მოძრაობამ გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ საერთაშორისო პროლეტარიატს მოეპოვება სოციალიზმის ისეთი ციხე სიმაგრე, როგორიც არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

მაგრამ ამასთან არის მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება ორმოცი თუ ოცდაათი წლის წინ გამართულ საპირველმაისო გამოსვლებსა და ახლანდელ საპირველმაისო გამოსვლებს შორის. მაშინ მუშათა კლასთან ერთად გამოდიოდნენ ისინიც კი, ვისაც „ზედმეტად" მიაჩნდათ გაფიცვები და სხვა რევოლიუციონური ღონისძიებები. დღეს კი მათი მიმდევრები იმყოფებიან ბარიკადების იქითა მხარეს, მუშების წინააღმდეგ. დღეს მრავალი „სოციალისტი", რომელიც მეორე ინტერნაციონალის აღორძინების მონაწილე იყო, ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ერთგული მსახურია. მათი ლოცვა-კურთხევით პოლიცია ულეწს საპირველმაისო დემონსტრაციებზე გამოსულ მუშებს. მეორე ინტერნაციონალი შეეზარდა კაპიტალისტურ საზოგადოებას, მასთან ერთად ლპება და იხრწნება, მასთან ერთად ლამობს გაახანგრძლივოს თავისი არსებობის დღეები. მეორე ინტერნაციონალის პარტიებს ბურჟუაზიაზე ნაკლებ როდი აშინებს მუშათა აქტივობის ზრდა და ამიტომ ისინი სისხლიან აბანოს უმართავენ მუშებს, რომლებიც ბედავენ იერიშის მიტანას კაპიტალიზმზე.

ნოსკეების, ვანდერველდეების, ბაუერების და მაკდონალდების და სხვა მსგავს „სოციალისტების" პოლიტიკა და ყოველდღიური საქმიანობა მეორე ინტერნაციონალის პარტიებში დარჩენილ მუშებს არწმუნებს, რომ იმ გზით, რომლითაც ისინი მიჰყავს მეორე ინტერნაციონალის პარტიებს, ისინი ვერას დროს ვერ მიაღწევენ სოციალიზმს. ამიტომ პროლეტარიატის ეს რაზმები თანდათან თავისუფლდებიან სოციალ-ფაშისტების გავლენისაგან, ადგებიან ბრძოლის რევოლიუციონურ გზას. ამის უდიდესი თვალსაჩინო მაგალითია კომუნისტური პარტიების გავლენის ზრდა ყველა ქვეყნებში. ამის მაჩვენებელია ის, რომ მიუხედავათ ბურჟუაზიულ და მენშევიკურ პოლიციემეისტერების და შინაგან საქმეთა მინისტრების აკრძალვისა, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი კომუნისტური პარტიების მოწოდებით ენერგიულად ემზადება საპირველმაისო დემონსტრაციებისა და გაფიცვებისთვის. ცერგიბელები უკვე შეუდგენ მზადებას იმისათვის, რომ სისხლში ჩაახრჩონ მუშათა კლასის საპირველმაისო გამოსვლები, მაგრამ პროლეტარიატს არ აშინებს მსხვერპლი, მან იცის, რომ მსხვერპლის გარეშე ვერ მივა თავის ოქტომბრამდე, რომელიც სამუდამოთ გაანთავისუფლებს მას ბურჟუაზიულ-მენშევიკური უღლისაგან, საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მსგავსად.

თვითეულ ქვეყანაში 1-ლ მაისს თავისებური ელფერი აქვს. თვითეული კაპიტალისტური ქვეყნის მუშათა კლასს საკუთარი ტკივილები აწუხებს და ამიტომ იგი საერთაშორისო ლოზუნგებთან ერთად აყენებს თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე სპეციფიურ მოთხოვნილებებს. სხვადასხვა არის ლოზუნგები კაპიტალისტურ მსოფლიოს მუშათა კლასის და საბჭოთა კავშირის გამარჯვებული პროლეტარიატის. პირველს ჯერ კიდევ (ისე, როგორ ორმოცი წლის წინ) უხდება ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღისათვის, სოციალური კანონმდებლობისათვის, კაპიტალისტური რაციონალიზაციის წინააღმდეგ. მეორემ 1917 წ. ოქტომბერში სამუდამოთ მოიშორა კაპიტალისტური უღელი, გაიმარჯვა სამოქალაქო ომის ფრონტებზე, აღადგინა დანგრეული სახალხო მეურნეობა და შეუდგა სოციალიზმის პრაქტიკულად შენებას.

მაგრამ მიუხედავათ ამ განსხვავებისა, საპირველმაისო დღესასწაულებში რჩება საერთო, რაც მტკიცე დუღაბით აკავშირებს მსოფლიო მუშათა კლასს. ეს არის საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობა. ამ საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობის შედეგია, რომ კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი პირველ რიგში აყენებს საბჭოთა კავშირის—თავის სოციალისტურ სამშობლოს დაცვისა და ანტი-საბჭოთა ინტრიგებთან ბრძოლის ლოზუნგს.

დღეს დედამიწის ყველა კუთხეში, სადაც კი ჰფეთქს მუშური გული, გაისმის ხმამაღალი ყიჟინა: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, განთავისუფლებულ შრომას და კაცობრიობას, გაუმარჯოს სოციალიზმს!"

ძრწოლვითა და შიშით ხვდება საერთაშორისო ბურჟუაზია ამ დღეს. იგი რაზმავს თავის ძალებს: სოციალ-ფაშისტებს, პოლიციას, ჟანდარმებს, ჯარს, ტანკებს, ჯავშნიან ავტომობილებს, ქუჩებში მომხდარ შეტაკებებში მას ელანდება აჩრდილი მომავალი სამოქალაქო ომის, რომელიც ბოლოს მოუღებს მის ბატონობას.

ბრძოლის წყურვილით ანთებული ემზადება ამ დღისათვის საერთაშორისო მუშათა კლასი, რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებს თავის მზად ყოფნას—არავითარ მსხვერპლს არ მოერიდოს კომუნისტური შრომის გამარჯვებისთვის.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ამ დღეს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასთან ერთად გამოვა ქუჩებში, რომ დაამტკიცოს თავისი ურყევი სურვილი—სოციალიზმის შენების, ხუთწლიანი გეგმის 4 წელიწადში შესრულების, სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის სურვილი, რადგან საბჭოთა კავშირში სოციალიზმის წარმატებით შენება საუკეთესო დახმარება იქნება წითელ საზღვრებს იქით მყოფ ჩვენი ძმებისთვის.

**ე. წ—ძე.**

3
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა აღმშენებლობა



ბათუმში მშენებლობა ჩქარის ტემპით მიმდინარეობს.
(სურათზე: „აზნავთის“ მშენებლობა.)

# პირველმაისობა თბილისში

ნაძალადევის შევჰყვები კალთებს,
მლაშე ტბისკენ რომ მივდევდი მწკრივებს;
იქ ახალგაზრდულ ცეცხლით ალმანთებს,
რომ გავიხსენებ წითელ არწივებს.

იქ არაქელა
ოქუაშვილმა
წითელი დროშა
აღმართა მაშინ

და კეცხოველის
ცხოველ ძახილმა
გამოძახილი ჰპოვა
ჩვენს ხმაში—

გრგვინავდა სიტყვა
გრგვინავდა ტაში,
როგორც ქუხილი
მიუვალ მთაში.

გამახსენდება შუა ბაზარიც
ამბოხებული ჩვენი ქარიშხლით;
ქუჩებს გაჰქონდათ ძვრა და ზანზარი,
ცივ ქვაფენილებს ვღებავდით სისხლით.

აქ ხელჩართული
გაჩაღდა ბრძოლა,
მედგრათ იცავდნენ
დროშას ჩვენები,
მაგრამ მიზანში
დაგვიწყეს სროლა,

ყაზახთა რაზმი
გვსრესდა ცხენებით—
ძირს, ჯალათები!
ძირს, მეფის ტახტი!—
ვჰკიოდით რისხვით
და შეჩვენებით.

რა გავაგრძელო: შრომის შვილები,
ქარხნებში ერთად თავმოყრილები,—
ახალ ძალებით ვირაზმებოდით,
ურთიერთს ძმობას ვეფიცებოდით
და ბრძოლებისთვის ვემზადებოდით.

შავ რეაქციის
სასტიკ ბრჭყალებში
დევნა-წამებას
ვიტანდით მედგრათ,
სიკვდილს პირისპირ
ვჰვრეტდით თვალებში
და ვუყიოდით
ხალხს ასამხედრათ.

ბევრჯერ დავმარცხდით, ბევრიც
მოგვიკლეს,
ციხე-მათრახი ვიწვნიე მეცა,
მაგრამ იმედმა მომავალისამ
სიმტკიცე უფრო გაგვიასკეცა.

და იყო ბრძოლა
შეუწყვეტელი:
ძველის და ახლის—
ორი ქვეყნისა;
პირქვე დავამხეთ,
რაც იყო ძველი,
ავაფრიალეთ
ემბლემა ხსნისა.

ბარიკადებზე ჩვენ დავიფიცეთ
მსოფლიოს სმენათ და გასაგონათ,
რომ ჩვენს უფლებას დავიცავთ მტკიცეთ,
აღარ გავხდებით სხვის ყმათ და მონათ.

და თუ დღეს ჩვენში
ასე აშკარად
ვდღესასწაულობთ
ამ დღეს ქარიშხლით,—
არ დავივიწყოთ,
გვახსოვდეს მარად,
რომ მოვიპოვეთ
ბრძოლით და სისხლით.

და ვფიცავთ მშრომელ კაცობრიობას,
ვფიცავთ ბრძოლებში დაღუპულ გმირებს,
რომ წითელ წარღვნით წავშლით,
წავლეკავთ
ჩვენზე თავდასხმას ვინც დააპირებს!

გ. ქუჩიშვილი.

# პ ი რ ვ ე ლ ი  მ ა ი ს ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა შაქრო თორმეტი წლისა იქნებოდა, ბიძამ რომ სოფლიდან ჩამოიყვანა და იარაღოვის ქარხანაში შეკერდათ მიაბარა. თვით ბიძა მისი კი რკინის გზის სახელოსნოში მუშაობდა.

ცქვიტი, ცოცხალი და მხიარული შაქრო პირველ ხანად ქარხანაში ისე გრძნობდა თავს, როგორც ჭურში ჩამწყვდეული მერცხალი, დახურულ ჰაერით რომ სუნთქავს. სოფლის გაშლილ ველ - მინდორს ისე ადვილად ვერ შეელეოდა ახალგაზრდის ბუნება და ამიტომ დასაწყისში ძალიან გაუძნელდა მუშაობა

ხოლო შემდეგ, როცა „ხაზეინმა“ კვირაში ათი შაური დაუნიშნა, ვითომ ჯამაგირის სახით, შაქროს სახე გაუბრწყინდა და აღებული ფული ბიძას მიუტანა.

დილით, როცა ჯერ კიდევ მზე არ იყო ამოსული და ქარხნის საყვირი ჰაერს ზრიალით შეახმაურებდა, — ნამძინარევი შაქრო თვალებს მოიფშვნეტდა, დაუბანელი ხელპირით თაროდან პურის ნატეხს გადმოიღებდა და პურის ყუით იღლიაში ქარხნისკენ ეშურებოდა.

მანქანების სალტებს გაქონდა ბზრიალი, უამრავი რკინის თვლები დიდი და პატარა, ჭერში ჩამოკიდებული თუ იატაკზე მიმაგრებული — ბრუნავდენ, როგორც წისქვილის თვლები და პატარა შაქრო ჭიანჭველასავით დალოლავდა ამ მანქანებს შორის. უფროს მუშასთან მიჰქონდა მოზრდილი რკინის ნაჭრები, ქლიბი ან ურო.

თერთმეტი საათის განმავლობაში პატარა შაქრო ცვიბრუტივით ტრიალებდა ქარხნის მჭიდრო კედლების შიგნით და დაღლილ-დაქანცული ბრუნდებოდა სახლში. ბიძის ოთახში კიდევ პიცოლა არ აძლევდა მოსვენებას და ხან დუქანში გზავნიდა ნავთის ან ასანთის მოსატანად, ხან მეზობლისას.

ასე გრძელდებოდა ერთი ხანი თავბრუდამხვევ მუშაობაში. მერე მუშაობა თანდათან კალაპოტში ჩადგა. ახლა შაქრო ოსტატთან იდგა და განსაზღვრულ სამუშაოს ასრულებდა და თან კვირაში შვიდ აბაზსაც ღებულობდა.

მხოლოდ კვირაობით იყო შაქრო რომ თავისუფლად გრძნობდა თავს. აქვე მახლობლად საკვირაო სკოლა იყო. აქ შეისწავლა მან წერა-კითხვა და მალე წიგნების კითხვაც იწყო.

ახლა უფრო გათამამდა. ქალაქის ქუჩებს შეეჩვია და ამხანაგებთან ერთად ქალაქის მივარდნილ ქუჩებშიაც დაიარებოდა.

„პატარა შაქროს“ სახელი მას იმიტომ დაერქვა, რომ იმავე განყოფილებაში მუშაობდა მაღალი, შავ-წვერიანი დიდი შაქრო, რომელიც მას რატომღაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და ყოველთვის აქეზებდა.

— ბიჭო, შაქრო! — დაუძახებდა მას დიდი შაქრო — იცი შენ რა არის ბიჭო, კაპიტალი?..

— არა, არ ვიცი ძია!...

— ჰო და კაპიტალი ბიჭო შენ ხარ! შენ რომ არ იყვე, ჩვენი „ხაზეინი“ მდიდარი ვერ იქნებოდა!

შაქრო შესცქეროდა დიდ შაქროს მომღიმარ სახეს და ვერ გაერკვია, რაში მდგომარეობდა დიდი შაქროს ხუმრობა. რა იყო კაპიტალი, ან „ხაზეინი“ რატომ ვერ იქნებოდა მდიდარი.

— იცი შენ რა არის კონცენტრაცია? არც ეს იცი ბიჭო შენ! ეეჰ! ბევრი რამ არ იცი ბიჭო შენ! მუშაობ, დადიხარ ქარხანაში, წელში იზნიქები და კი არაფერი იცი!

დიდი შაქრო სხვა მუშებიდან თავისი ყოფაქცევით განკერძოებულ პიროვნებას წარმოადგენდა. დიდი უმრავლესობა ქარხანაში მომუშავეებისა მას პატივისცემით ეპყრობოდა, ხათრი და რიდი ჰქონდათ მისი და ყოველი რჩევა - დარიგებისთვის მას მიჰმართავდენ. მუდამ წყნარი, დამშვიდებული და ჭკვიანი თვალებით ჰხიბლავდა ყველას და თითქოს შინაგანი უხილავი ძალით იმორჩილებდა.

პატარა შაქროც დიდი მოწიწებით შესცქეროდა მას და გულში ნატრობდა ისეთი შეგნებული და ყველასთვის საყვარელი მუშა გამხდარიყო, როგორიც იყო დიდი შაქრო.

ხშირად მოხდებოდა ხოლმე, როცა პატარა შაქრო, როგორც პატარა ფინია, შეუმჩნევლად მიეპარებოდა დიდი შაქროს გვერდით და მის ლაპარაკს ყურს უგდებდა. დიდ მუშებს რაღაცას უმტკიცებდა კაპიტალის შესახებ. მაგრამ იმას მაინც ვერ გაიგო, რა იყო ეს კაპიტალი, რაღაც ბაზარი, ზედმეტი სამუშაო ქირა, ღირებულება და სხვა სიტყვები.

გაურკვევლად ხვდებოდა, რომ ლაპარაკი იყო მუშის შრომის, მისი ტანჯვის, სიღარიბის და უვიცობის შესახებ, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი დიდმა შაქრომ იცოდა, რომელიც ცდილობდა კიდეც ყველასათვის გაეთავისებინა ეს ამბავი.

— შენ არ გინდა ბიჭო, გაიგო რა არის კაპიტალი?

შეეკითხა ერთხელ დიდი შაქრო მას.

სიხარულისგან დაბნეულმა პატარა შაქრომ ძლივს უპასუხა:

— კი. როგორ არ მინდა.

— მაშ, მე გეტყვი შენ, სადაც უნდა გაიგო ეს ამბავი!

—•—

ერთ დღეს პატარა შაქრო მიიყვანეს მეზობელ მუშის ერთ პატარა ოთახში.

ამ ოთახში იმ საღამოს შვიდამდე მუშა მოგროვდა მისავით ახალგაზრდები.

უცდიდენ ვიღაცას.

იდუმალი, არაჩვეულებრივი განწყობილება სუფევდა ოთახში და პატარა შაქროზედაც შეუცნობ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ოთახში სათითაოდ შემოდიოდენ შავხალათიანი მუშები, საერთო სალამს იძლეოდენ და კედელთან მდგარ ტახტზე ალაგს იკავებდენ. დაილაპარაკებდენ, უსათუოდ ჩუმი, იდუმალი ხმით.

პატარა შაქრომ კარგად იცოდა, რომ კრება საიდუმლო იყო, ფარული და ასეთი მდგომარეობა მას ჰხიბლავდა, აფრთოვანებდა. თვალები გაბრწყინებული ჰქონდა და ხილვად და სმენად იყო გადაქცეული. მას იზიდავდა, იტაცებდა ეს მისთვის უჩვეო პირობები და სულგანაბული უცდიდა გაეგო, რა მოხდებოდა, რა იქნებოდა, როგორ ჩაივლიდა კრება.

ტახტზე მოხრილი მუხლები მჭიდროდ იყო ერთმანეთზე მიყოლებული. კედელთან მიდგმული მაგიდა ძველი გაზეთით გადაფარებული და მასზე მბჟუტავი სანათი, ოთახს რომ მკრთალად ანათებდა — იდუმალ ელფერს აძლევდა დაბალჭერიან ოთახის კედლებს.

კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა პატარა შაქროს ნაცნობი მუშა, რომელსაც თან მოჰყვა ფინჯაკში გამოწყობილი ახალგაზრდა. საერთო სალამი, მუხლების გასწორება და თვალების მიპყრობა ახალმოსულისკენ.

ახალმოსული მაგიდასთან დაჯდა. ქუდი იქვე მაგიდაზე დადო, პაპიროსის ბოლი გაუშვა და ოთახი მიმოათვალიერა.

პატარა შაქრო გაკვირვებით უმზერდა. ეგონა მოლაპარაკე უსათუოდ ხანში შესული, წვერიანი ვინმე იქნებოდა და როცა მის ახლად ამოსულ ფიფქიან ულვაშს უცქეროდა — განცვიფრებული იყო. მისთვის გაუგებარი იყო, საიდან უნდა სცოდნოდა ამ ახალგაზრდას ასეთი ამბები, რაზედაც ძია შაქრო ლაპარაკობდა ხოლმე.

— აღარავინ მოვა? — იკითხა ახალ მოსულმა.

— არა! აღარავინ! შეგიძლია დაიწყო! უთხრა შაქროს ნაცნობმა მუშამ.

პატარა შაქრომ იდაყვები მუხლებზე დაიწყო, წელში მოიღუნა და სმენად გადაიქცა.

მოლაპარაკე ჯერ ტკიპნით, ნელა შეუდგა ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ იყოფა საზოგადოება კლასებად და რომ ერთ მხარეზე რჩება გაყვლეფილი და მეორეზე — გამყვლეფელი, როგორ გროვდება კაპიტალი „ხაზეინების“ ხელში და როგორ იჩაგრება მუშა. შემდეგ გადავიდა არსებულ ცხოვრების შეცვლის პირობებზე და მსმენელთა გული გაათბო.

ზღაპარივით მომხიბვლელი იყო მისი ლაპარაკი და შაქროს გულისყურიც გამახვილებული. ბევრი რამ ახალი, ჯერ კიდევ უცნობი, მაგრამ ისეთი მახლობელი. მისი ცხოვრებიდან ამოღებული ამბები — მას აღიზიანებ-

და, გულს უჩქროლებდა და აჩქარებულ ბრძოლისკენ იწვევდა.

ამის შემდეგ იყო ის რომ დიდი შაქროს პატარა მეგობარი გახდა. უხილავი ძაფით სიყვარული და პატივისცემა გაძლიერდა და მზად იყო ყოველი დავალება დიდი შაქროსი მას თავდადებით შეესრულებინა. დიდი შაქროც გრძნობდა ამას, ხედავდა მის ფაქიზ ახალგაზრდულ გატაცებას.

— მოიცა შაქრო, შენ კიდევ ბევრ რამეს გაიგებ! იარე იმ წრეში!... ეუბნებოდა მას დიდი შაქრო და ისიც დადიოდა.

ახლა ამაყი, მედიდური იყო პატარა შაქრო და დიდი ზრახვებით სავსე იყო მისი გული.

ხოლო, როცა მას დიდმა შაქრომ პარტიული სამუშაოს შესრულება დაავალა, მის აღფრთოვანებას არ ქონდა საზღვარი.

—:—

იმ ღამეს დიდ შაქროსთან იყო დაბარებული. ოთახში მის გარდა სხვებიც იყვნენ. ყველა რაღაცას უცდიდა. დიდი შაქრო კი ფაცა-ფუცში იყო.

აბა ბიჭებო. თქვენ იცით! ყოჩაღად უნდა მოიქცეთ! ფრთხილად!.. და იძლეოდა დარიგებას.

— შენ, შაქრო! რექსის ქარხანაში წახვალ, ჩვენ ქარხანაში კი სხვა მოვა, რომ ეჭვი არ მიიტანონ!...

პატარა შაქრო შესცქეროდა დიდ შაქროს, როგორც მოწაფე საყვარელ მასწავლებელს. ის კი ოთახში დადიოდა მაღალი, მხარბეჭიანი, შავი წვერულვაშით. ქაღალდებს გაჰქონდა შრიალი,.. იკეცებოდა... რიგდებოდა...

როგორც ჯადოსანი მიმზიდველი ღიმილით და ელვარე თეთრი კბილებით ჰხიბლავდა მაყურებელს. სიტყვებს ამბობდა უბრალოდ, მაგრამ დამაჯერებლად. ხან გაიხუმრებდა, ჟანდარმებს შეუკურთხებდა — იმდენ ჟანდარმებს ჩამოვახრჩობთ ბიჭებო, რომ თოკიც კი არ გვეყოფა!.. ჩაიხითხითებდა... და სიცილში ამხელა კაცს, ბავშის ელფერი ედებოდა...

— ასე!.. ახლა ნულარ დავაყოვნებთ. დავიმალოთ!.. მხოლოდ სათითაოდ გადით!..

როცა პატარა შაქრო ქუჩაზე გამოვიდა, უბე გატენილი ჰქონდა პროკლამაციებით, ხელი მოუსვა და აჩქარებული ნაბიჯით სახლისკენ წავიდა.

მალე დაწვა, რადგან დილით ადრე იყო ასადგომი. დაკეცილი პროკლამაციები სასთუმალ ქვეშ ამოსდო.

ადრიანად წამოდგა. ჯერ კიდევ ვიდრე საყვირის ხმა ჰაერს შესძრავდა, ის უნდა შეპარულიყო რუქსის ქარხანაში და დაზგებთან პროკლამაციები მოეფინა. ამისათვის აქ მომუშავე ნაცნობ მუშას, დარაჯი უნდა გაერთო და [illegible]არა შაქრო კი ქარხანაში ამ დროს პროკლამაციებს მოჰფენდა.

[illegible]ოო!.. როგორ უცემდა გული! ალაყაფის კართან უცდიდა ნაცნობ მუშას, რომელსაც ქარხანაში უნდა შეეყვანა. თრთოდა, კანკალობდა... „რომ დაიგვიანოს? რომ არ მოვიდეს? მაშინ [illegible] პირით შეხვდეს დიდ შაქროს, რა უთხრას? იმის ბრალი არ იქნება, მაგრამ მაინც ხომ ვერ შეასრულა დავალება? მაშ, რა ჰქნას? რა ჰქნას?“..

[illegible]ადიოდა ათრთოლებული.

უცბად კარს შეხედა და შეკრთა. კარი ღია იყო.. „მაშ მალე საყვირს ააყვირებენ!“.. — გაიფიქრა, — „მერე გვიან იქნება“..

გაღებულ კარში თავი შეყო. მიიხედმოიხედა. შორს ეზოში დარაჯი რაღაცას ალაგებდა. უცბად მოსწყდა ალაგს და ქარხნისაკენ გაიქცა. ამ დროს საყვირმა ჰაერი შესძრა, სივრცეში შესრიალდა და მიდამო ააგუგუხა.

შედგა ხელნაკრავივით.

გაფითრდა. თითქო მთელი სამყარო მას მისდევდა, მისი დაღუპვა უხდოდა... სუნთქვა შეეხუთა.

საყვირის ხმა კი ბზრიალით სივრცეს აპობდა...

უ-უ-უ-უუუ!.. ღმუოდა დაჭრილი ნადირივით.

„პეტრე, ურო მოიტა, ურო!..“ — შემოესმა შორეული ხმა.

უცბად გამოერკვა. ორი ნაბიჯი წადგა და ქარხნის კედლების ძირით მოექცა.

გაყუჩებული მანქანები დაჭრილ ნადირებივით უმოძრაოდ გახლართულიყვნენ იატაკზე. პატარა შაქრო კი დაძვრებოდა მათ შორის და თეთრდაკეცილ ქაღალდებს გაჰქონდა შრიალი. მოიარა მთელი ქარხანა, დააცალიერა უბე და კარებთან შეჩერდა.

ამ დროს შემოვიდა მისი ნაცნობი მუშაც.

— აბა, ახლა გამიყვანე! ჩემი საქმე შევასრულე! — უთხრა მას პატარა შაქრომ.

ორივე შეუმჩნევლად გარედ გამოვიდნენ.

კი არ მიდიოდა, მიხტოდა. ახლა კი, ახლა შაქროს პირნათლად შეხვდებოდა.

სიხარულისაგან დაჭიმული ჰქონდა ძარღვები. ეშურებოდა ქარხანაში მისვლა, ეშურებოდა შაქროს ნახვა, რომ მალე გადაეცა მისთვის პროკლამაციების მოფანტვის ამბავი.

აგერ მისი ქარხნის ალაყაფის კარები. ზლაზვნით, ნელი ნაბიჯით გაივლიან მუშები ეზოს და ქარხნის კარებში მიიმალებიან. პატარა შაქროც გარბის.

დაზგასთან მდგარი დიდი შაქრო შეამჩნევს მისკენ მიმავალ პატარა შაქროს. გვერდში მდგომ ამხანაგს ეტყვის დაბალი ხმით:

— ჰხედავ, მოდის კაპიტალი! ეს ბიჭი ნამდვილი კაპიტალია! ხომ იცი რა ბიჭია, — ცეცხლია, ცეცხლი!..

დიდი შაქრო აჩნევს მოღიმარ სახეს და უკვე იცის რომ საქმე კარგადაა გაკეთებული.

— ჰო, რა ჰქენი! — შეეკითხება.

— შევასრულე!

— ის იქ დაგიხვდა?

— არა! დაიგვიანა!

— მერე, შენ რა ჰქენი?

— არ დავუცადე, შევიპარე და მოვფანტე კიდეც!

— ჰო, კარგი ყოჩაღ!.. ხომ ჰხედავ — მიუბრუნდა გვერდში მდგომ ამხანაგს.

— ყოჩაღი ბიჭია, ყოჩაღი!.. ახლა წადი შენ საქმეს დაადექი, თორემ შეგნი[illegible]!...

იმ დღეს პატარა შაქრო მხიარულ გუნებაზე იყო. ცქმუტავდა, იღიმებოდა.

ოო! როგორ გამალებით სძგეროდა მისი გული! გრძნობდა რომ დიდ საქმეში, რომელსაც სოციალისტური მოძრაობა ეწოდება, იმანაც წვლილი შეიტანა. ისიც ხომ სოციალისტი იყო! ამხანაგი!.. და ასე რომ ჰფიქრობდა ამაყი და მედიდური იყო მისი გული!..

—:—

ახლა უფრო მეტი ზრახვები, მეტი და პასუხისაგები სამუშაო იზიდავდა მას. დიდი შაქროც ნდობით ეპყრობოდა.

[illegible]ლი მაისი ახლოვდებოდა. ამხანაგების წრეში უკვე მითქმა-მოთქმა იყო. ლაპარაკობდენ მისი წარმოშობის, განვითარების და მნიშვნელობის შესახებ. პატარა შაქრო გრძნობდა, ეს უნდა ყოფილიყო ის დიადი წუთი, აღფრთოვანებით სავსე, როცა მუშები უნდა შებრძოლებოდენ პოლიციელებს და ქუჩაზე გამოსვლის — დემონსტრაციის სახით, კაპიტალისტების მომხრე მთავრობისათვის ეჩვენებიათ მუშური მოძრაობის ძალა, მისი ძლიერება და გამარჯვების სიხარული.

მის წარმოდგენაში იხატებოდა დიდი მოედანი უამრავი ხალხით სავსე. აქ არის დიდი შაქრო, მაღალი, მხნე, ენერგიული. მისი თვალები ბზინავს და არწივის გამოხედვით ათვალიერებს კოედანს. მის გარშემო შეკრებილი ამხანაგები მას ათვალიერებს ადე,ლადი ხანაგები მას თვალყურს ადევნებენ და მზად არიან ნიშნის მიცემისთანავე შეჯგუფდენ დროშის გარშემო.

პატარა შაქროც აქ არის. არ სცილდება დიდ შაქროს და უნდა დროშის აწევის დროს როგორმე ხელი შეავლო!.. მას, ერთი წუთით მაინც იყოს წითელი დროშა მის ხელში და თუ საჭირო იქნება სისხლიც დაღვაროს მისთვის.

ოო!.. როგორ თრთოდა სხეული, [illegible]ცა დემონსტრაციის შესახებ ჰფიქრობდა!

[illegible]ირველმაისო პროკლამაციები უკვე გაჰოსული იყო. უკვე მოჰფინეს ქუჩებში. ხოლო რა დღისათვის იქნებოდა დანიშნული დემონსტრაცია — ჯერ არავინ იცოდა. საჭირო იყო კვირა დღე, რადგან მხოლოდ მაშინ მოახერხებდენ მუშები გამოსვლას.

წინა დღით დიდმა შაქრომ მოიხმო პატარა შაქრო. საიდუმლოთ უთხრა:

— გესმის შაქრო, საღამოს ჩემთან მოხვალ. იქიდან ორი შენთვის უცნობი მუშა უნდა წაიყვანო მიხოს სადურგლოში, ხომ იცი! გახსოვს ერთხელ პატარა კანიანი წიგნი რომ გაგატანე?

— როგორ არ მახსოვს, კარგად მახსოვს!

— ჰო და, მაშ ასე! არ დაიგვიანო!

საღამოს პატარა შაქრომ უცნობი მუშები სადურგლოში მიიყვანა. ბურ-

ბუშელის და გათლილი ფიცრის სუნი, თითქოს წებოსთან შეხამებული — გრძელ ოთახის ჰაერს მოსდებოდა. შაქრო იქვე კუთხეში ფიცრებთან შეჩერდა. მას უნდოდა როგორმე ამ სხდომაზე, სადაც პირველ მაისის დემონსტრაციის შესახებ იქნებოდა ლაპარაკი, დარჩენილიყო, რომ უფრო კარგად სცოდნოდა სადემონსტრაციო გეგმა.

მალე სადურგლოში დიდი შაქროც შემოვიდა. გრძელ მაგიდაზე გაშალაშინებული ფიცრები დააწყვეს. ფიცრებზე ქვარტი ღვინო, ყველი, პური, წვანილი და ხმელი თევზი. ზოგი ყუთზე ჩამოჯდა, ზოგი ფეხზე დადგა. ჭიქებში ღვინო ჩაასხეს. სათითაოდ აილეს. „გაუმარჯოს ხვალინდელ დღეს!“ „გაუმარჯოს პირველ მაისს“... „გაუმარჯოს, გაუმარჯოს!..“ ჭიქები ერთმანეთს მიაწკარუნეს.

„მაშ ასე, ხომ იცით გადაწყვეტილია ბაზარში მოეწყოს...

დაიწყო დიდმა შაქრომ.

„თორმეტ საათზე უნდა ავწიოთ დროშა, ხალხი გამოვიყოლოთ და სასახლის ქუჩისკენ წავიდეთ — ახლა კითხვა იმაშია, ვინ ასწიოს დროშა..

პატარა შაქროს ამ კითხვის დროს გული აუძგერდა, მუხლები აუთრთოლდა. „აბა ვინ უნდა ასწიოს თუ არა დიდმა შაქრომ“, — გაიფიქრა.

— ჩემის აზრით დროშის აწევა ორ კაცს უნდა ჩაბარდეს, — სთქვა ერთმა ახალგაზრდამ, — ერთი წამოიღებს დროშის ტარს — მიხო, დროშის ტარი ხომ გაკეთებულია!

— მზად არის! — იყო პასუხი.

— ჰო და, მეორე წამოიღებს თვით დროშას უბით. დროშის აწევის დროს ეს ორი კაცი ერთად უნდა იყვეს, — ერთი ტარს გამართავს, მეორე დროშას მიაბამს ზედ.

— დროშა შაქრომ წამოიღოს, ტარი კი ალექსამ. — სთქვა ერთმა.

— კარგია! ეგრე იყოს! — დაადასტურეს სხვებმა.

სიხარული ველარ შეიკავა პატარა შაქრომ. ახტა. ფიცრები გადმოცვივდა. მიიხედეს.

— ბიჭო შაქრო, შენ აქ დარჩი? — შეეკითხა დიდი შაქრო.

თავჩაღუნული, დამნაშავესავით წარსდგა მათ წინაშე პატარა შაქრო.

— ჰო, არა უჭირს რა, კარგი... მხოლოდ შენ ნუ გამოხვალ ბიძია ხვალ. დაგიჭერენ და ჯერ ცოდო ხარ! ადრეა! გესმის? შორს იყავი, ახლო არ მოხვიდე... ახლა წადი! დაიძინე!..

—

მზის სხივები ჯერ გორაკის წვერზე აციალდა, მერე პროჟექტორის სვეტებათ ქუჩებს ესხურა. ფანჯრის მინები ააბზინა და კედლებს თეთრ ლავაშათ ეკრო.

ადრიანად ამდგარი პატარა შაქრო გასცქეროდა ამ სანახაობას და სუფთა ჰაერის სუნთქვით გული გამალებით უცემდა. გულის გახშირებული ცემის მიზეზი კიდევ სხვა რამ იყო.

დღეს თორმეტ საათზე დემონსტრაციაა ბაზარში დანიშნული. თუმცა დიდმა შაქრომ უთხრა არ წასულიყო იქ, მაგრამ... არა!.. ყველაფერს დაუთმობს იგი შაქროს, ხოლო რომ არ წავიდეს, ამას ვერა!...

და პატარა შაქროს ათრთოლებს. მას უნდა დროშის აწევის დროს დიდი შაქროს გვერდით შეუმჩნევლად მიიპაროს და როცა დროშა აფრიალდება ხელი შეავლოს დროშას ან მის ტარს...

ოო! როგორ სცემდა საფეთქელი.. აი, თავებს ზევით მზის სხივებზე მბზინავი წითელი დროშა... დიდი შაქრო მოზღვავებულ ხალხის გროვას არღვევს მაღლა აწეული დროშით ხელში... უძრავი თავები ქანაობით და რხევით მისდევენ ამ დროშას და ამ დროს პატარა შაქრო მკლავების, მუხლების და ზურგების ხვეულებში გაჭედილი, გაარღვევს ლობეს და შაქროსთან მივა. დროშის ტარს ხელს მოჰკიდებს, მაღლა ასწევს. ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით შეიკავებს მას დიდ შაქროსთან ერთად და ორიოდე ნაბიჯს გადასდგამს... მერე? სხვა არაფერი... ეს უნდა მხოლოდ პატარა შაქროს.. სხვა არაფერი...

ჩვეულებრივი ბაზრის გამახილ-გამოძახილი, არეული ხალხის სიარული და „კონკის“ ზარის წკარუნი — ჰაერს ახმაურებს. ვაჭრებს დარაბებიდან გამოაქვთ მაგიდები, სკამები, ტახტები, სარკიანი პირსაბანები, რბილი ავეჯეულობა და სხვა...

გაჰკივიან: „აქეთ, აქეთ!... იაფად, იაფად! დღეს იაფად!“...

პატარა შაქრო დაიარება არეულ ხალხში და მოუთმენლად უცდის. უცდის დემონსტრაციის დაწყებას. ეძებს დიდ შაქროს, მაგრამ ვერ ჰპოებს. მოიქანცა, დაიღალა სიარულით, ფეხზე დგომით...

ახლა უკვე ამჩნევს, რომ აბნეულ ხალხის გროვაში შავხალათიანების ნაკადი შემოიჭრა — ეს დეპოს მუშებია. კვლავ აძგერდა გული.

მაგრამ რატომ არ სჩანს შაქრო? რათ იგვიანებს? ხომ არაფერი დაემართა? ავათ ხომ არ გახდა? ან ხომ არ დაიჭირეს?

მოედანი ახლად მოსული ჯგუფებით გაივსო. არეულ ხალხის წრე შეჭიდროვდა. ახლა უკვე მხოლოდ მუხლების და ზურგების რღვევით შეიძლება გზა გაიკვლიო.

შუადღის მზემ სხივები პროჟექტორის სვეტებათ დაუშვა აბნეულ თავების და მხრების შემჭიდროვებულ წრეში და შეხუთული ჰაერის ოშხივარი [illegible]...

სად არის შაქრო, სად მონახოს? ვაი თუ დაიგვიანოს!.. იქნებ ვერ მონახოს!.. იქნებ სხვა ადგილს გადაიტანეს დემონსტრაციის მოწყობა... მაგრამ ეს მუშები რომ აქ არიან? აი ბევრ მათგანს იცნობს კიდეც...

ჩოჩქოლი, ხმაური, გაძახილი, ყვირილი, ზურგების მიწოლა და მკლავების შებორკვა მატულობს. ახლა ჭურში ჩავარდნილივით პატარა შაქრო მხოლოდ ცას დაინახავს და წინ აყუდებულ ზურგებს — სხვა ვერაფერს... ადგილიდან დაძვრა თითქმის შეუძლებელია.

და უცბად ეს შემჭიდროებული ზურგები, თითქო შორიდან მოწოლილი ძალით ერთმანეთს შეეკვრა, გვერდზე გადაქანდა და შაქრომ ელვის სისწრაფით თვალი მოჰკრა თავების ზევით მზის სხივებზე მბზინავ დროშის რხევას...

„ვაიმე!..“ აღმოხდა გულიდან. ტკივილი და ერთნაირი წმუილი შემოესმა თითქო გულის წიაღიდან.

„აააჰ!.. რაღა ვქნა, რაღა ვქნა!..

უმწეობა, შებორკილი მკლავები, მუხლების და ზურგების მჭიდრო ლობე, სალტებივით შებორკილი... რა გაარღვევს, როგორ გასცდეს მოჯადოებულ წრეს!..

და უეცრად შემჭიდროებული წრე გაირღვევა.

მის წინ გაცარიელებული მოედნის ქვაფენილი გაიშლება. თვალში კინოს სურათივით აიბნევა მოკაუჭებული მუხლები და ქუსლები — გზააბნეული ხალხი გარბის...

ცხენიანი ყაზახი მოქნეულ ნაგაიკით წაკუზულ ზურგებზე მტვერს ააყენებს...

და დარაბებთან ახლო შავხალათიანი მუშების ჯგუფი, ხელჩართული იბრძვის „გოროდოვოებთან“. პატარა შაქრო გაარჩევს დიდი შაქროს ბრაზით დაკრეჭილ კბილებს, დროშის ტარს, რომ მკლავებით ჩაბღაუჭებია. ერთ „გოროდოვოის“ დროშის ტარისთვის ხელი მაგრა ჩაუჭიდია და წართმევას ჰლამობს.

იქვე წაქცეული მუშა, სახე დაღრეჯილი, თავშიშველი წამოდგომას ცდილობს. სხვები მკლავებს აქნევენ და განთავისუფლებას ცდილობენ.

ერთი ფეხის დაკვრით პატარა შაქრო ჯგუფთან მივარდება. აჯახყებულ დროშის ტარს შეახტება და „გოროდოვოის“ ტარზე ჩაჭდობილ ხელის ზურგს კბილებს ჩააჭდობს — მძლავრად, მთელი კუნთების დაჭიმვით...

ორი წყვილი თვალი პატარა შაქროსი და დიდი შაქროსი, ერთი წუთით ერთმანეთს შეხვდება.

„გოროდოვოი“ იხლაკნება და ხელის განთავისუფლებას ცდილობს, მაგრამ შაქროს კბილები არ სცილდება მას, სანამ პირი სისხლით არ ილებება...

მერე?... დაქანდა ყველაფერი. უფსკრულში ჩაეშვა. აღარ ახსოვს რა მოხდა. როგორ!..

—:—

თვალი რომ გაახილა, თეთრ კედლებს შეხედა. ლოგინზე იწვა. თავის ტკივილს გრძნობდა. ბურანში — არეულ აზრებით გაიხსენა დროშის ტარი, პოლიციელი, კბილებში სისხლი და მერე აღარ ახსოვს არაფერი...

კიდევ მიმოიხედა — მიხვდა: ეს ციხის საავადმყოფო იყო...

დროშის ტარს ხომ მაინც შეავლო ხელი!..

**დავით სულიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვლადიმერ მაიაკოვსკი

## ავტობიოგრაფია

**თემა.** მე—პოეტი ვარ და ამით ვარ საინტერესო. ამაზე ვსწერ კიდეც. მიყვარს, თუ შევდივარ აზარტში კავკასიის ბუნების სილამაზიდან — ყველაფერი ეს მაშინ არის, როცა სიტყვით გადადუღდება.

**მთავარი რაც არი.** დავიბადე 7 ივლისს 1894 წელს (ან 93 წელს — დედაჩემის აზრი და მამის სამსახურობის სია ერთი მეორეს არ ეთანხმებიან. ყოველ შემთხვევაში ამაზე ადრე არ დავბადებულვარ). ჩემი სამშობლოა სოფ. ბაღდათი, ქუთაისის გუბერნია, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში.

**1905 წ.** რა დროს სწავლაა. წამოვიდენ ორიანები. გადავედი მეოთხე კლასში, მხოლოდ იმიტომ, რომ მე თავი გამიტეხეს ქვით (რიონის პირზე ვილაცასთან ჩხუბის დროს). გამოცდების დროს შემიბრალეს. ჩემთვის რევოლიუცია დაიწყო ასე: ჩემი ამხანაგი, მღვდლის მზარეული ისიდორე, პლიტაზე შეხტა ფეხშიშველა სიხარულით.—მოკლეს გენერალი ალიხანოვი, საქართველოს დამაწყნარებელი. დაიწყეს დემონსტრაციები და მიტინგები. მეც წავედი. კარგია. მხატვრულად განვიცდი: შავებში ანარქისტებია, წითელში ესერები, ლურჯში ესდეკები და სხვა ფერებში ფედერალისტები

**სოციალიზმი.** სიტყვები, გაზეთები. ყველაფერში მხვდებიან უცნობი სიტყვები და ცნობები. ჩემ თავს ვთხოვ ახსნას. ფანჯარაში თეთრი წიგნები მოსჩანს: „ბურევესტნიკ"-ის. ვყიდულობ. ვდგები დილის 6 საათზე. ვკითხულობ ლოთივით. პირველი წიგნი: „ძირს სოციალ - დემოკრატები". მეორე: „ეკონომიური საუბრები". მთელ ჩემ ცხოვრებაში დამრჩა გასაოცრად სოციალისტების ნიჭი: ხსნიან ფაქტებს და ქვეყანა მოჰყავთ სისტემაში. „რა უნდა იკითხო"? მგონია, რუბაკინისა. წავიკითხე რასაც მირჩევდა. ბევრი არ მესმის. გამოვიკითხავ. მე შემიყვანეს მარქსისტულ წრეში. მოუსწარი ერფურტის პროგრამას. მოვხვდი შუა სწავლაზე. „ლუმპენ პროლეტარიატის" შესახებ. მე უკვე ჩემ თავს სოციალ - დემოკრატად ვსთვლი: გადავაძვრინე მამაჩემის ბერდანკები ესდეკების კომიტეტში. ფიგურით მომეწონა ლასალი. ალბად იმიტომ რომ წვერი არ აქვს. რაღაც უფრო ახალგაზრდაა. ლასალი მე გავაბი დემოსთენს. დავდივარ რიონზე, ვლაპარაკობ სიტყვებს და პირი კენჭებით მაქვს ამოვსებული.

**პარტია.** 1908 წელს შევედი რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკების) პარტიაში. დავიჭირე ეგზამენი სავაჭრო - სამრეწველო ქვე-რაიონში. კარგად ჩავაბარე. პროპაგანდისტი ვარ, წავედი მებულკეებთან, შემდეგ მეჩექმეებთან და შემდეგ სტამბის მუშებთან. ქალაქის საერთო კონფერენციაზე ამომირჩიეს მოსკოვის კომიტეტში: იყვნენ: ლომოვი, პოვოლჟეცი, სმიდოვიჩი და სხვ. მეძახდენ „ამხ. კონსტანტინ".

**დაპატიმრება.** გრუზინებში მოვხდი ჩასაფრებულ პოლიციას. გვქონდა არალეგალური სტამბა. ვსჭამდი ბლოკნოტს ადრესებით და შეკანულ ტყავით. პრესნიას უბნის ნაწილი. ოხრანკა. სუშჩევის უბნის ნაწილი. გამომძიებელმა ვოლტანოვსკიმ (ალბად თავის თავს სთვლიდა ძალიან ეშმაკად) დამაწყებია კარნახით წერა. მე მაბრალებდენ პროკლამაციების წერას. მე უიმედოთ აურიე კარნახი. ვსწერდი „Соцяль-демокритическая." გამომიშვეს თავდებობის ქვეშ. უბნის ნაწილში გაკვირვებით წავიკითხე „სანინი" რატომაც ეს წიგნი ყველა საუბნო ნაწილებში იყო ხოლმე. ალბად სულის საცხონებლად.

გამოვედი ერთი წელი პარტიულ მუშაობისა.

**მეორე დაპატიმრება.** ისინი ვინც ჩვენთან ცხოვრობდენ, აწყობდენ „პოდკოპს" ტაგანკისთვის. უნდოდათ გაენთავისუფლებიათ კატორღელი ქალები. მოაწყეს გაპარება ნოვინსკის ციხიდან. მე დამიჭირეს. სახლში მინახეს რევოლვერი და არალეგალური ლიტერატურა. არ მინდოდა ჯდომა. ვაკეთებდი სკანდალებს. გადავყავდით ერთ საუბნო ნაწილიდან ძეორეში — ბასმანაია, მეშჩანსკაია, მიასნიცკაია, და სხვ. და ბოლოს ბუტირკები. „ოდინოჩკა". № 103.

**კუოკკალა.** შვიდ ნიშნიანი სისტემა (შვიდ ნოლიანი). გავიჩინე 7 სადილის ნაცნობი. კვირას „ვსჭამ" ჩუკოვსკს. ორშაბათს ევრიენოვს და სხვ. ხუთშაბათს ყველაზე ცუდი იყო, ვსჭამდი რეპინის ბალახებს. ფუტურისტისთვის, რომელსაც ერთი საჟენი სიმაღლე აქვს, ოასაკვირველია ეს საქმე არ არის.



ვლადიმერ მაიაკოვსკი

საღამოობით დავხეტიალობ პლიაჟზე. ვსწერ „ობლაკო"-ს.

გამოიჭედა შეგნება მოახლოვებულ რევოლიუციის.

გავემგზავრე მუსტომიაკაში. მ. გორკი. წავუკითხე მას „ობლაკო"-ს ნაწყვეტები. გრძნობა გამდმოდენილმა გორკიმ მთელი ჟილეტი დამისველა ცრემლებით. ლექსებიც დავაყოლე.

მე ცოტა გავამაყდი. მერე გამოირკვა, რომ გორკი თურმე ყველა პოეტურ ჟილეტზე ქვითინებს.

ყოველ შემთხვევაში ჟილეტს ვინახამ. შემიძლია დაუთმო თუ ვინმეს უნდა პროვინციალურ მუზეუმისათვის.

**26 თებერვალი 17 წელი.** წავედი ავტომობილებთან ერთად სათათბიროში. შევარდი როძიანკოსთან კაბინეტში. შევათვალიერე მილიუკოვი. სდუმს. მაგრამ მე რატომღაც მგონია, რომ ის ცოტა ენა დაბმული უნდა იყოს. ერთი საათის შემდეგ მომაწყინეს თავი. წავედი. რამოდენიმე დღით მივიღე ავტომშკოლის კომანდა.

გუჩკოვის სიო ქრის. ძველი ოფიცრობა ჩვეულებურად დასეირნობს სათათბიროში. ჩემთვის ნათელია, რომ ამათ უთუოდ მიჰყვებიან სოციალისტები.

ბოლშევიკები. ვსწერ რევოლიუციის პირველ დღეებშივე. „პოეტის ქრონიკა" რევოლიუცია. ვკითხულობ ლექციას „ხელოვნების ბოლშევიკები".

**აგვისტო.** რუსეთი თანდათანობით ანებებს კერენსკის თავს. დაკარგეს პატივისცემა. გავდივარ „ნოვაია ჟიზნ"-იდან. დავიწყე ფიქრი „მისტერია ბუფფ"-ზე.

**ოქტომბერი.** მივიღოთ თუ არ მივიღოთ. ასეთი კითხა ჩემთვის (და სხვა მოსკოვის ფუტურისტებისათვის) არ ყოფილა. ჩემი რევოლიუცია. წავედი სმოლნიში. ვმუშაობდი ყველაფერს, იწყებენ სხდომას.

**19 წელი.** ვმოგზაურობ ჩემი მისტერიით და სხვა ნაწერებით ჩემ ამხანაგებთან ერთად ქარხნებში. მშვენივრად გვიღებენ. ვიბორგის მხარეზე ხდება კომფუტის ორგანიზაცია, შევუდექით „კომუნის ხელოვნების" გამოცემას. აკადემიები ინგრევიან. გაზაფხულზე ჩამოვდივარ მოსკოვში. თავში მეძგერა „150.000.000" დაწერის იდეა. წავედი როსტაში, საგიტაციოთ.

**20 წელი.** გავარღვიე ყველა კანცელარიის თავის ტეხა და სიძულვილი — ვსდგამ „ჩემი მისტერიის" მეორე ვარიანტს. მიდის რ. ს. ფ. ს. რ. პირველი თეატრში მეიერხოლდის რეჟისორობით და მხატვრების ლავინსკის ხრაკოვსკის, კისელიოვის დეკორაციებით ცირკში გერმანულ ენაზე კომინტერნის მესამე კონგრესისათვის.

სდგამს გრანოვსკი ალტმანით და რავდელით. მიდის თითქმის ასჯერ.

დავიწყე წერა „იზვესტიებ"-ში.

**21 წელი.** მოვაწყვე „მაფ"-ის გამომცემლობის ორგანიზაცია, ვაგროვებ კომუნის ფუტურისტებს. შორეულ აღმოსავლეთიდან ჩამოვიდენ: ასეევი, ტრეტიაკოვი და სხვა ბრძოლების ამხანაგები, დავიწყე ჩაწერა სამი წლის ნამუშავრის 5 ინტერნაციონალის, უტოპია, უნდა ვაჩვენო ხელოვნება 500 წლის შემდეგ.

განვიზრახე: სიყვარულზე: უზარმაზარი პოემა. შემდეგ წელში გავათავებ.

რიგში დგას ორი პიესა:

ეს ცოტაა და უვარგისია.

**დასკვნა.** რაც ვსთქვი, იმით არ მსურდა ამოვწურვილიყავი. ყველა ნათქვამის გარდა მიყვა - ასტრონომია, „ვარდის ფერი ფანარი" დახურეს იმის შემდეგ, როცა მე წავიკითხე: „ერთი საათი ამის შემდეგ" „მოხეტიალეც" ლამის მიაკეტეს ლექსისათვის: „ვამ პროჟივაიუ შჩიმ".

მაგრამ ამისთვის საჭიროა რომანების წერა.

მე კი პოეტი ვარ. და ეს არის ეგრედ წოდებული ავტობიოგრაფია. აი ყველაფერი...

## მარცხენა მარში

შემოტრიალდით მარშით.
არ არის დრო სიტყვების კლიაუზის...
ორატორებო ჩუმად!
თქვენია სიტყვა, ამხანაგო. მაუზერ!
გვეყო ცხოვრება ადამის ადათით —
ჩვენ წინ გავდენოთ ისტორიის ჯაგლაგი ცხენი...
მარცხენით! მარცხენით! მარცხენით!
ჰეი, ლურჯ ხალათიანებო,
გაფრინდით ოკეანის გადაღმა...
ან —
იქნებ გგონიათ ჯავშნოსანებს რეიდებზე
გავარდა წვეტიანი ფსკერი?
დაე,
კბილგადალესილი სამეფო გვირგვინით
გაისმას ბრიტანეთის ლომის ღრიალი
ფიცხელი!
ვერავინ გაიხარებს კომუნის დამარცხებით!
მარცხენით! მარცხენით! მარცხენით!
სევდების ზღვებს იქით
ელვარებს ქვეყანა ქალწული მზის,
სიმშილით
ტანჯვების ზღვაზე
მილიონიანი ნაბიჯი ჰბეჭდე!
დაე, შემოგვერტყას დაქირავებული ბანდა, —
ფოლადში გადადნება მარცხენა,—
რევოლუციას ჯერ დაიმონებს ანტანტა!
მარცხენით! მარცხენით! მარცხენით!
რა დააქრობს არწივის მზერას?
წარსულზე ხომ არ გვიჭირავს თვალი?
დაამაგრე
მსოფლიოს ყელზე
პროლეტარიატის თითების რვალი..-
წინ მკერდი მაგარი!
წითელი დროშებით ცის თაღი გააკარი!
ვინ აბიჯებს იქ მარჯვენით?
მარცხენით! მარცხენით! მარცხენით!

თარგმ. **ვასო გორგაძის.**



იმპერიალიზმის უღელქვეშ

ნახატი ირ. თოიძის.

# ნიკო ფიროსმანიშვილი

„მხატვარი ფიროსმანიშვილი იყო მაღალი ტანისა, — ასე გადმოგვცემს მხატვ. ლადო გუდიაშვილი. — შეჭაღარავებული და უკან გადავარცხნილი შავი თმებით. მის მკრთალს



ნიკო ფიროსმანიშვილი

მოტეხილ სახეს თან ახლდევდა იერი რაღაც კულტურული სიმშვიდისა. წვერი ჰქონდა მოკრეჭილი და ულვაშები ქვეით დაშვებული. ეცვა ნაცრისფერი პიჯაკი, ჭუჭყიანი და საღებავით მოთხვრილი შარვალი; ერთი სიტყვით ჩემს წინ იდგა ულარიბეს უბნის მცხოვრები, გატეხილი და დაბეჩავებული ბოსიაკური და ლოთური ცხოვრებით“..

ლადო გუდიაშვილი პირველად შეხვდა ფიროსმანს 1916 წელს და ეს აწერაც მხატვარის გარეგნობისა იმ წელს ეკუთვნის.

— კითხვა კითხვით მოვაგენი ფიროსმანის ბინას. მიჩვენებენ კიბის ქვეშ მოქცეულ სარდაფს. დავაკაკუნე, თითონ ნიკო გამოჩნდა.

— ვინ გნებავთ?—მეკითხება.

— მხატვარი ფიროსმანიშვილი.

— მე ვარ, გთხოვთ... გაალოთ კარები. დავილუნე და შევედი. უეცრად შემაჩერა და მკითხა:

— როგორ მოხვედით: როგორც მტერი თუ როგორც მოყვარე? და თან მიყურებს არაჩვეულებრივი თვალებით. — ხომ არ გაგიჟდა,—გავიფიქრე გულში:

— არა უპასუხებ—თქვენც მხატვარი ხართ, მეც. რა მტერი უნდა ვიყო თქვენი...

— დაბრძანდით ძმობილო, დაბრძანდით, აი, ეს არის ჩემი ოთახი. ჰო, თქვენ რა გქვიანთ? ჰო, ლადო, ლადო! დიახ ლადო. შეიძლება წყალი დალიოთ? დაასხა და მომიტანა წყალი ჭიქით.—ბოდიშს ვიხდი, რომ ლიმონადი არა მაქვს“. მე უკვე მოვასწარი მისი ოთახის დათვალიერება. იგი კიბის ქვეშ იყო მოთავსებული. პატარა, რამოდენიმე ნაბიჯი სიგრძითა და სიგანით. დგომა შეუძლებელი იყო. კუთხეში იდგა ლოგინი წვირიანი ქვეშაგებით. კედელზე პატარა ყუთი იყო მიკრული — ეს მისი შკაფი იყო. მეორე კუთხეში დაყრილი სხვადასხვა ხელსაწყო—სამხატვრო, სამღებრო: ვედრო, ფუნჯები, საღებავები.

მოკლე საუბრის შემდეგ, წამოსვლისას, გუდიაშვილი ჰკითხავს, თუ რა ყრია კუთხეში.

— საღებავებია ჩემო ძმაო, აი, მუშაობა ასე უნდა. თქვენ კი, კოსტიუმებში და გალუსტიკებში მუშაობთ და გოლოვინის პროსპექტზე დასეირნობთ. არა,—ასე არ შეიძლება... როგორ იქნება? უნდა ჩაიცვა ძველი ფართუკი, აანთო ლამპა და მოაგროვო ქვარტლი. მერე უნდა ფეხით დაფქვა კირი და უძარილი გააკეთო. მერე აიღე დიდი ფუნჯი და კედლები შეღებე თეთრად ან შავად, ძირიდან ჭერამდე“..

მხატვართა კრების დასასრულ, სადაც იგი იყო ერთხელ მოწვეული, ის წყნარად ამბობდა:

— ჰო.. აი რა გვინდა. ძმებო იცით,—უსათუოდ საჭიროა, ჩვენ, მხატვრებმა ავაშენოთ დიდი ხის სახლი, სადმე ქალაქის შუაგულში, რომ ყველასათვის ახლოს იყოს. ავაშენოთ დიდი სახლი, შევიყარნეთ ხოლმე. ვიყიდოთ დიდი სტოლი და სამოვარი. ვსვათ ჩაი, ბევრი ვსვათ და ვილაპარაკოთ მხატვრობაზე, ხელოვნებაზე... თქვენ კი ეს არ გინდათ, თქვენ სულ სხვას ლაპარაკობთ“..






ჩინეთის რევოლუციის მედროშე

ნახატი ირ. თოიძის.

ამ დიალოგის შემდეგ აღარც ლ. გუდიაშვილს და აღარც ქართველ მხატვრებს ფიროსმანი აღარ უნახავთ. ის უეცრად გაქრა...

ნ. ფიროსმანი პირველად (1912 წ.) საზოგადოებისათვის ფრანგმა მხატვარმა ლე-დანტიუმ აღმოაჩინა ძმ. ზდანევიჩებთან ერთად. შემდეგი მისი აღმომჩენები იყვნენ მხატვრები: დიმიტრი შევარდნაძე და ლადო გუდიაშვილი. ამ სახელებს მიემატა: გრიგოლ რობაქიძე, იაკობ ნიკოლაძე, პავლე იაშვილი, დავით კაკაბაძე, ტიციან ტაბიძე (ავტორი გამოკვლევისა ფიროსმანზე), სერგეი სუდეიკინი, ალ. წუწუნავა და სხ. რომელთაც დიდი ფანატიზმი დასჭირდათ ფიროსმანისათვის გზის გასაკვალად საზოგადოებაში. მანქანებზე ეს არ ითქმის. მათ ყველაზე ადრე, უმეშველად იცნეს და დააფასეს მხატვარი...

—:—

1922 წელს, როცა მე ვრედაქტორობდი კვირეულ სალიტერატურო გაზეთ „ბახტრიონს", გადავწყვიტე ტიციან ტაბიძესთან ერთად, — მასებში პოპულარიზაციის მიზნით „ფიროსმანის ნომრის" გამოშვება (იხ. „ბახტრიონი" № 9). მასალების შემზადების დროს გამოირკვა, რომ არც ერთმა ნაცნობმა და პატივისმცემელმა მხატვრის ცხოვრების შესახებ არაფერი იცოდა, იმის გარდა, რომ იგი ისიც ექვით, კახელი უნდა ყოფილიყო. ფიროსმანის ერთი პირველი აღმომჩენი და ნაცნობი მხატვ. კირ. ზდანევიჩი „ბახტრიონში" სწერდა, რომ „ფიროსმანის სამშობლო კუთხე იყო „ივერია" (?!) თბილისიდან 70 კილომეტრის დაშორებით"-ო.

პირადათ მე, დიდი ენერგია დამჭირდა ფიროსმანის ბიოგრაფიის დასადგენათ, ბიოგრაფიული მასალების შესაგროვებლად. ამ მიზნით მე ჩამოვიარე არა ერთი ნაცნობი და მეგობარი ფიროსმანისა, რასაკვირველია უმთავრესად — მიკიტნები, მედუქნეები, მეწვრილმანეები, მედროგეები, მესაკრავენი, დალაქები და სხვ. ყოველგვარი ბიოგრაფიული ცნობების, ეპიზოდების და დეტალების გამორკვევაში დიდი სამსახური მიუძღვის გაზ. „ბახტრიონს", რომელმაც არა ერთი საინტერესო მასალა დაბეჭდა ფიროსმანზე.

პირველად აქ დაიბეჭდა შალვა დადიანის მიერ რედაქციის დავალებით შეგროვილი ძვირფასი პირველი ცნობები ფიროსმანის სა-



კახეთის ეპოსი



მუშა სოლო

დუქნობის, ვინაობის და ბავშობის შესახებ. დადიანის წერილს მოჰყვა საინტერესო მასალები „ბახტრიონის“ სხვა თანამშრომელ-კორესპონდენტებისა: ნინა თარიშვილისა, ვასო არჩუაძისა, ალ. ლეონიძისა, ეგნატე მენთეშაშვილისა, — ყოველივე ეს საფუძვლად ედება ფიროსმანის ბიოგრაფიას.

საინტერესო ცნობები ფიროსმანის ყრმობის შესახებ დაიბეჭდა აგრეთვე ჟურნალ „დროშაში“. (ცნობები შეაგროვა ვ. ბუთლიაშვილმა) — 1924 წელს. 1926 წელს სახელმწიფო გამომც. ტიციან ტაბიძის ხელმძღვანელობით გამოსცა ვრცელი და მდიდარი მონოგრაფია ფიროსმანის, 53 სურათის დართვით. — ტიც. ტაბიძის, გრიგოლ რობაქიძის, გერ. ქიქოძის, კ. ზდანოვიჩის და კ. ჩერნიავსკის მონაწილეობით.

---

ჩემგან აღმოჩენილი ცნობით, (მირზაანის ეკლესიის მეტრიკული დავთარის თანახმად ცნობა ამოსწერა ვ. ალუღიშვილმა) ნიკო ფიროსმანი დაბადებულა 1860 წელს. მისი სამშობლო იყო ქიზიყი, სოფ. მირზაანი, სადაც ექვს წლამდე ღარიბი გლეხის ოჯახში მან გაატარა თავისი ბავშობა. ფიროსმანის მამას უცბად მიუტოვებია სახლკარი და ოჯახით ბედის საძებნელად წასულა დ. შულავერში, სადაც ვინმე ახვერდი ქალანთაროვს დასდგომია მეზვრედ. რამოდენიმე ხნის შემდეგ ნიკოს დედმამა დაჰხოცია და სრულიად ობოლი ბავში ქალანთაროვებს აუყვანიათ აღსაზრდელათ. 12 წლის ნიკო გიორგი ქალანთაროვს წამოუყვანია თბილისში ხელზე მოსამსახურეთ თავის ძმებისა და დების ოჯახში. ნიკოს ერთი აღმზრდელის ანა ბეკოსეფოვის სიტყვით „პატარა ნიკო ძალიან გონიერი ყმაწვილი იყო. უყვარდა წიგნების კითხვა, ხატვაც. მისგან ოთახის კედლები ნახშირით ან ფანქრით იყო მოხატული. რისთვისაც მეცა და ჩემი უფროსი დაც ვუჯავრდებოდით, მაგრამ თავისას არ იშლიდა. როდესაც ჩვენ საზაფხულოდ კოჯორში ვიყავით, ნიკო იქაც ჰხატავდა. შემდეგ როცა ნიკომ ხატვა შეისწავლა, ჰხატავდა ფერადებით სხვადასხვა სურათებს და ყველანი აღტაცებაში მოდიოდნენ“. 23 წლამდე ფიროსმანი ქალანთაროვების შინამოსამსახურეთ ითვლებოდა, შემდეგ მილლერის სტამბაში შევიდა ასოთამწყობად, მაგრამ აქ ერთი წლის მეტი არ დაუყვია.



არსენალის გორა ღამით.

1882 წელს, როცა ფ. ისევ ქალანთაროვების ოჯახში ცხოვრობდა, ფიროსმანს შეჰხვდა მხატვარი გიორგი ზაზიაშვილი. ამავე წელს მან დასტოვა ახვერდოვები და ზაზიაშვილთან ერთად სამხატვრო სახელოსნო გახსნა ველიამინოვის ქუჩაზე. მაგრამ საქმე ვერ ხეირობს, ამხანაგები იშლებიან. შემდეგ გამოჩნდება ახალი ამხანაგი გეზერნიძე და იწყებენ ერთად ახალ საქმიანობას, მაგრამ ფიროსმანის საქმე აქაც უიმედოა. მის ნახატებს ბაზარი არა აქვს. ხოლო მისი ამხანაგის შრომაზე მოთხოვნილება არ არსებობს. ამის შემდეგ ის სამუდამოთ გამოეთხოვა თავის სახელოსნოს, ალბად გულისტკივილით და ჯერ რკინის გზათა სამმართველოში შიკრიკად, ხოლო შემდეგ რკინის გზის საქონლის მატარებლების კონდუქტორად შევიდა. (მსახურობდა უჯარაში). ავადმყოფობის გამო მალევე სტოვებს სამსახურს და სახელოსნოს მაგიერ, მელიქ-აზარიანცის შენობის წინ სდგამს მაგიდას და რძესა და მაწონს ყიდის. საკუთარ სახელოსნოზე უფრო ხელსაყრელი ეს „წვრილი ვაჭრობა“ აღმოჩნდება. ცოტა ხნის შემდეგ საქმე იზრდება და ფიროსმანიც უკვე საკუთარ დარაბას ხსნის „იარმუკაში“. ვაჭრობს ყველით, რძით, კარაქით და სხვა სარძეო პროდუქტებით. ვაჭრობა კარგათ მიდის.

ხოლო თავისუფალ დროს მაინც ხატავს და საკუთარი სურათებით ამშვენებს თავის დუქანს, ან მეგობრებს სთავაზობს.

მაგრამ მცირე ხანში, „ხაზეინი“ ფიროსმანი კოტრდება, რადგან მას უყვარს უხვად გაცემა „კრედიტში“, გულუბრყვილოდ ენდობა კომპანიონს და ერთ დღეს დუქანში დარჩენილ ქონებას უტოვებს მოღალატე ამხანაგს და სრულიად ხელცარიელი, უბინაო, უსახლკარო გამოდის ქუჩებში. აქედან იწყობა მხატვარი ფიროსმანის კარიერა.

ის იწყობს ხეტიალს დუქან-დუქან, ჰხატავს კედლებს, აბრებს, ასრულებს ცალკე სურათებს მიკიტნების შეკვეთით და თავის შრომას სცვლის არაყზე, ღვინოზე, ნატურალური წესით. და რადგან ბინა არ აქვს, ღამეს იქვე ათევს, სადაც ჰხატავს.

მიკიტნები ეხლაც დიდი სიყვარულით იგონებენ „საწყალ ნიკალაის“ საოცარ გულკეთილს და პატიოსან ადამიანს: „მისი ხელიდან მარტო სიკეთე გამოვიდოდა, სიავე არა“. „სუფთა იყო, როგორც პირიდან, ისე ხელიდან“.—ერთხმად ლაპარაკობენ ყველა მისი ნაცნობები.

— ნიკოს პიჯაკს ჯიბე არ უნდოდა, ამბობს მიკიტანი „ბეგო“—ფული არ უყვარდა. მასალას ჩვენ ვუყიდდით: მუშამბას, ფუნჯებს, საღებავს. დაჯდებოდა და გინდა გაფრენილ ფრინველს დახატავდა. ხატვის დროს სვამდა არაყს, უამისოდ ვერ მუშაობდა. ერთ დღეში, ორ დღეში სურათს გაათავებდა. მაგრამ ნამუშევარში ფულს არ იღებდა. ისევ ჩვენ, ჩვენი სვინდისით თუ ვუყიდდით საცვალს, ხალათ-შარვალს. საერთოდ კი ნახატებს ჭამა სმაში აქვითებდა“.

ფიროსმანის მუშაობის სისწრაფის დასახასიათებლად იგივე „ბეგო“ იგონებს ერთს ეპიზოდს:



უშვილო მილიონერი და ღარიბი დედაკაცი შვილებით.

„ერთხელ გაზაფხულის დილას, ჩემი დუქნის წინ ჩამოიარა მლოცავების ურემმა თელეთში მიმავალმა. ურემს ჭრელფარდაგიანი ჩარდახი ედგა. კოფოზე პატარა ბიჭი ეჯდა წითელ ხალათა. ურემზე ცხვარი იყო დაკრული, უკან ლოგინით სავსე მაფრაშა. შიგაც ორი დედაბერი იჯდა. ჩარდახის მოკაუჭებულ ჯოხზედ წყლის ლიტრა და ნავთის თუნუქი ეკიდა. ნიკომ ის იყო მუშამბა გადაჭიმა ლატანზე და სამუშაოდ ემზადებოდა. მე ნიკოს შევეხვეწე: ნიკოლაი, აბა ეს ურემი დახატე ჩემი ხათრისათვის მეთქი. ნიკომ მაშინვე გამოიხედა გარეთ, დაინახა ურემი, დააცქერდა და გაბრუნდა, კუთხემდი რო მივიდა, ისევ გამობრუნდა და ერთიც გაჰხედა. შემობრუნდა, ხელით მანიშნა: დამისხიო. გადაჰკრა არაყი და ხმა ამოუღებლივ შეუდგა სურათის ხატვას გაჩქარებით და როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათი დასრულდა, პირდაპირ გავოცდი, ისე როგორ დაამზგავსა ნამდვილს... ისევ ის წითელ ხალათა ბიჭი, ჭრელი ფარდაგი, მაფრაშა, ორი დედაბერი, ისევე როგორ ისხდნენ, ლიტრა და შენ იფიქრე, ხარებს შუბლზე რა ფერის ნიშანი ჰქონდათ, ისიც კი ისე იყო გამოხატული!"

მეტად საინტერესოა რიყელი მიკიტანის „ბედნი ლადო"ს მოგონებაც: „1911 წელს, რიყეზედ „პივნოი" ჰქონდა რუსის ბიჭს კოლას (რუსიშვილი) მას ძალიან მოსწონდა ნიკოლაის ნახატები და მოინდომა თავისი ლუდხანა მისთვის მოეხატინებინა. დაუძახა ნიკალაის და იმანაც დაიწყო პივნოიში ხატვა. ერთხელ ნიკო დათვრა და მეორე დღეს აღარ მოვიდა სამუშაოდ. კოლა საშინლად შეწუხდა. სურათები დაუმთავრებელი რჩებოდა. ბევრი ფიქრის შემდეგ მან შემდეგ ხერხს მიჰმართა: როგორც იყო ვაგზლის სამიკიტნოებში მოძებნა ნიკოლაი, ჩაისვა ეტლში და მოსვლისთანავე ლუდხანაში ჩაკეტა სამუშაოდ, ასე ჰყავდა დამწყვდეული კოლას ერთ დღე-ღამეში. საჭმელსა და არაყს კი ფანჯრიდან აწოდებდა. ასეთი საშუალებით დაამთავრებინა სურათები და შემდეგ გაანთავისუფლა".

მაგრამ „ბედასლი" ნიკალა იმავე დროს ცნობილი იყო, როგორც დინჯი და თავმოყვარე ადამიანი. მას ვერავინ გაუბედავდა რამე ცუდს და თავი ყოველთვის ღირსეულად ეჭირა:

აი რას გვიამბობს მისი უკანასკნელი ხნების მეგობარი მედუქნე სოზაშვილი:

„ოც წელიწადზე მეტია, რაც ნიკოს ვიცნობდი. ჩამოვიდოდა ჩემს სარდაფში, მიჯდებოდა კუთხეში, მოითხოვდა არაყსა, მწვანილს და დიდხანს იჯდა ჩუმად. ხშირად ყოფილა, სარდაფში მოქეიფეებს დაუპატიჟნიათ თავისთან, ან ღვინო გაუწოდებიათ. ნიკო ერთს კი ეტყოდა ზდილობიანად უარს და მერე თუ ჩააცივდებოდნენ, ძალიან ეწყინებოდა. ხშირად წლის განმავლობაში მე ნიკო არ მინახავს სხვებთან მჯდომი და მოქეიფე. ეს იცოდა ყველამ და მოკრძალებით ექცეოდნენ".

„გუშინაც მომაგონდა: ხეტავი ჩვენი ნიკალა ცოცხალი იყოს, ამ გამონგრეულ კედელს დამიხატავდა და იაფად გამომიყვანდა ძეთქი — ამბობს მეორე მიკიტანი ჭიჭინაძე. ბევრს არაყს სვამდა საწყალი, დადგებოდა დუქნის კარებთან: „აბა რა დაგიხატოთო" იტყოდა ღიმილით. მივცემდით მუშამბისა და საღებავის ფულს. მართლაც ორ დღეში სურათს მოიტანდა. მაგრამ არ გვახსოვს ჩვენთვის ფული ეთხოვოს"..

ასე ერთფეროვნად მიდიოდა ქართულ საზოგადოებისათვის უცნობი მხატვრის ცხოვრება, სანამ ლე-დანტიუმ და ძმ. ზდანევიჩებმა არ მიაგნეს მის კვალს.

1916 წ. მაისის 15-ის სხდომაზე დიმ. შევარდნაძის და ლ. გუდიაშვილის მიერ დაინტერესებულ ქართ. მხატვართა საზოგადოებამ გადასწყვიტა: გამოძებნა ფიროსმანისა, გამორკვევა მის ბიოგრაფიისა, და შეძენა სურათებისა. მაისის 24-ის სხდომაზე დიმ. შევარდნაძის ინიციატივით თვით ფიროსმანიც გაწვეულ იქნა კრებაზე. ლადო გუდიაშვილი მას პოულობს დიდუბეში, ვიწრო, კუბოსავით კატარა ოთახში, რომელსაც ეზოში მოთამაშე ბავშვები ქვებს უშენენ. ფიროსმანი ამ დროს ხატავს „შოთა რუსთაველს". კრების გათავების შემდეგ მიჰყავთ ფოტოგრაფთან და სურათს აღებინებენ. საზოგადოება დახმარების სახით აძლევს ხუთმეტ მანეთს, სამაგიეროთ ერთი კვირის შემდეგ ფიროსმანი საზოგადოებას ასაჩუქრებს სურათით· „ქორწილი კახეთში".

კრებაზე წამოყენებულ იქნა საკითხი ფიროსმანის სურათების გამოფენისაც, მაგრამ კრებამ გამოიტანა სამარცხვინო რეზოლიუცია: **„საზოგადოებას არ შეფერის გამოფენის დაწყება ფიროსმანიშვილის სურათებით"-ო.**

თავის მხრივ მხატვარიც უკვე გაწყრალი იყო „ნასწავლ საზოგადოებაზე" იმ კარიკატურის წყალობით, რომელიც „სახალხო ფურცელში" დაიბეჭდა და ერთი წამით ამოყვანილი უფსკრულიდან, იგი ისევ უკვალოთ იკარგება და როცა მესამედ მიდის მასთან ლ. გუდიაშვილი დახმარების გადასაცემად, იგი ვეღარ მიაგნებს, მხატვრის ნაცნობები გადასცემენ, რომ „საწყალი ნიკალა" ხოლერით თუ ისპანკით მოკვდა სრულიად უპატრონო .

ფიროსმანის უკანასკნელი წუთების ამბავი, პირადათ მე გადმომცა მისმა ერთმა მეგობართაგანმა (1922 წ.) მეჩექმე არჩილ მაისურაძემ (ექვსი თვის წინად გადიცვალა): „სიმსაგან გამხდარიყო აცად და ჩასულიყო ცივსა და ბნელ სარდაფში. ორი სამი დღის შემდეგ შემთხვევით ჩაველ და სიბნელეში წავაწყდი.

— ვინა ხარ მეთქი?

— მე ვარო, და ხმაზე ვიცანი ნიკალაი. მან კი ვეღარ მიცნო. მხოლოდ მითხრა: ცუდათა ვარ. სამი დღეა აქა ვწევარ და ვეღარ ავდექიო". მე მაშინვე ფაიტონი მოვიყვანე და რაკი მე არ მეცალა, ეტლში ჩაუჯდა ილია მგალობლიშვილი და საავადმყოფოში წაიყვანა. კაცი დღე ნახევარში გათავდა".

შემდეგ არჩილ მაისურაძემ მაჩვენა ის საშინელი, საფლავივით ვიწრო და ბნელი სარდაფი, სადაც განწირული ფიროსმანი ებრძოდა სასიკვდილო აგონიას. სარდაფი იქნება ერთნახევარი კვადრატი საჟენი. როცა ასანთი გავკარით, გვეცა საშინელი სიცივე და შმორის სუნი. ირგვლივ ყველაფერი სავსე იყო აგურის ნატეხებით, მავთულების ნაწყვეტებით და ღორღით. (მალაკანის ქ. № 29).

ფიროსმანი გარდაიცვალა არჩ. მაისურაძის სიტყვით 1918 წელს, აღდგომა ღამეს. ჯერჯერობით გამოურკვეველია სად ასაფლავია. როგორც მის ნაცნობთა უმრავლესობამ გადმომცა, იგი კუკიის სასაფლაოზე უნდა იყოს დაკრძალული.

— : —

დასასრულ საინტერესოა ორი დეტალი მხატვარის ფიროსმანის დამოკიდებულებისათვის რევოლიუციასთან: 1905 წელია. არეულობა. ნაძალადევში მიტინგი იმართება. ხალხში ნიკოც მოსჩანს. მიტინგს გარეკავენ ყაზახები. ნიკო ბრუნდება სარდაფში და მედუქნეს ფულს სთხოვს, საღებავისა და მუშამბის სასყიდლათ. მედუქნე ჩვეულებისამებრ უარს არ ეტყვის. რამდენიმე საათის შემდეგ ნიკო ჩაუჯდება სამუშაოს. ცნობის მოყვარე მიკიტანი როგორც მუდამ, შორი-ახლო უყურებს, მაგრამ მის და საოცრად ტილოზე ნაცვლად ჩვეული სუფრებისა, ქეიფისა, რთველის „ნიკალა"-ს გამოჰყავს იმ დღევანდელი მიტინგი ნაძალადევში. ეს სურათი ბოლო დრომდის ჰქონდა მეჩექმე „ჭინკას" საბჭოთა ქუჩაზე. მე უკვე მიღებული მაქვს ყოველი ზომები მის აღმოსაჩენად.

მეორე ამბავს გვიყვება ფიროსმანის ცნობილი მეცენატი, ნამიკიტნარი „ბეგო". 1916 წ. წელს, ზაფხულში ნიკალაიმ გამოსჭრა ასოები დააკრა წითელ ქარგაზე და დააკერა პარუსინის დიდ ფარდას, რომელიც ჩემ დუქნის დარაბას ჰქონდა ჩამოფარებული ქუჩიდან, შესავალში.

წარწერა იყო: **„გაუმარჯოს ერთობა-ამხანაგობას!**

**ძირს ხელმწიფე, მაღლა მუშა! ძირს ნიკალაი!"**

ეს წარწერა ორი დღე იყო დუქნის ფარდაზე. მესამე დღეს მომადგა ნაცნობი ბოქაული გ—ი და წინადადება მომცა დაუყოვნებლივ ჩამომეხსნა წარწერა და შინაურულად ამიხსნა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, სახრჩობელას არ ავცდებოდი.

რასაკვირველია, ბოქაულის ბრძანება დაუყოვნებლივ შევასრულე".

„1917 წელს თებერვლის დღეებში ნიკო გახარებული დადიოდა, მღეროდა, იცინოდა, „გეგონებოდა ერთი სახეწიფო აჩუქესო".

„— გვეშველა, გვეშველა! მოვრჩით განსაცდელს"-ო! ამბობდა ღიმილით. სხვათა შორის, ნიკო როდესაც ჩემთან იმყოფებოდა, ღამეც ჩემს დუქანში იძინებდა. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც შუაღამისას შემოვიდოდა პოლიცია დუქნის დასაზვერად, ჩხრეკის დროს ნიკოსაც ეჭვით მიაქცევდნენ ყურადღებას და ჰკითხავდნენ ქინაობას, ხან მძინარესაც აღვიძებდნენ, ნიკო მოთმინებიდან გამოდიოდა. გამოცხადდა რევოლიუცია თუ არა მისი პირველი სიტყვები იყო:

— ძლივს მოვრჩი! ეხლა აღარ იკითხავენ: ეს ვინ არი, აქ რად არი"-ო.

თავისი საუბარი ფიროსმანზე „ბეგომ" შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „აფსუს ჩვენი ნიკალაი, უფასოდ წავიდა, ეხლა დაფასდა"-ო.

**გიორგი ლეონიძე.**

# სოხუმის სახ. თეატრი
## ქართული დრამა

როდესაც ეცნობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში თეატრისა და კლუბების მდგომარეობას, უნებურად სურათს ღებულობთ. თბილისისა და ქუთაისის შემდეგ თეატრი მხოლოდ რამოდენიმე დაბა-ქალაქში უჭირავს პროფესიონალურ თეატრალურ მუშაკებს, დანარჩენ ადგილებში გამეფებულია ყოველგვარი „ხალტურა" და გაუმართლებელი რეპერტუარი. ასეთივე პირობები არსებობდა დღემდე ჩვენ მეზობელ რესპუბლიკებში.

ჩვენ საშუალება გვქონდა გვენახა გასულ წელს ბაქოს ქართული თეატრი, რომლის მოღვაწეობა თეატრალურ ხელოვნების „ხალტურიზაციაში" გამოიხატებოდა. წელს ნაწილობრივ მდგომარეობა შეიცვალა. ბაქოსა და სოხუმში პროფესიონალურ მსახიობებმა და რეჟისორებმა დაიწყეს მუშაობა.

პირველ რიგში ამ შემთხვევაში სდგას სოხუმი. სოხუმის ქართულ დრამას ყავს აუდიტორიის საგრძნობი მასა. ამიტომ, გასაკვირიც არ არის, თეატრის მიმდინარე სეზონის გამარჯვება.

პირველივე წარმოდგენით „ყარაბ და ემზარი"-თ (სეზონი ამ პიესით გაიხსნა) ქართულმა დრამამ მთელი სოხუმის მოსახლეობის ყურადღება მიიქცია. „ყარაბ და ემზარს" მოყვა „ანზორი", რომელმაც ინტერესი კიდევ უფრო გააცხოველა ქართული თეატრისადმი და ქართულ წარმოდგენებზე უცხო ეროვნებებ-

მაც კი იწყეს სიარული. ქართველი მშრომელი საზოგადოება ყოველ წარმოდგენას დიდი აღტაცებით ხვდებოდა. ასეთი დიდი ყურადღება უნდა აიხსნას თეატრის შერჩეულ რეპერტუარით და გაფორმების მაღალი კულტურის შედეგათ. თეატრში გამოყენებულ იქნა ყველა მხატვრული შესაძლებლობანი და ხერხები, რომელიც თანამედროვე რუსულ რევოლიუციონურ სპექტაკლებს ახასიათებს. ყველა პიესები დადგმული იყო რეალისტურ და კონსტრუქტიულ სტილით. მუდმივ მხატვრად მოწვეული იყო ახალგაზრდა მხატვარი დ. მირიანაშვილი. მირიანაშვილმა გამოიჩინა საკმაო ნიჭი და სცენიური მოედნის კონსტრუქტული ათვისება. მის კონსტრუქციებს ეტყობა მახვილი თვალი, ეკონომია მასალის გამოყენების და სრული კონსტრუქტიულობა სცენიურ სიბრტყეების რეჟისორის მიზანსცენებთან.

შეიძლება ითქვას, რომ მუსიკალური გაფორმების მხრითაც წარმოდგენები მეტად საინტერესო და უნაკლონი გამოვიდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ანზორის“-თვის გამოყენებული აფხაზური მუსიკა, რომელიც მეტად ენათესავება მთიურ ყოფა-ცხოვრების თვისებებს და ამიტომაც აუდიტორიაზე დიდ ზეგავლენას ახდენდა.

რეპერტუარი იყოფოდა ორ ციკლად. პირველ ციკლში შედიოდა თანამედროვე რევოლიუციონური პიესები, როგორიც არის „ანზორი“ სანდრო შანშიაშვილის, „ყარაბ და ენზარი“ დ. ჩიანელის, „როგორ“ კარლო კალაძის, „რღვევა“ ლავრენიევის. მეორე ციკლი შესდგებოდა იმ კლასიკებისაგან, რომელთაც დღევანდელობისათვის არ დაუკარგავთ ინტერესი. ამ მიზნის განსახორციელებლად დაიდგა შილლერის „ყაჩაღები“, შექსპირის კომედია „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ და „ცხვრის წყარო“ ლოპე დე-ვეგასი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ერთი დიდ მიღწევათ სოხუმის ქართული დრამისა, აფხაზური პიესა „მოხაჯირების“ დადგმა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა სოხუმის მშრომელ საზოგადოებაზე. კომედიებიდან თეატრმა სრულიად ახალი ტრაქტოვკით დასდგა შალვა დადიანის „კაკალ გულში“ და გ. ცაგარელის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. როგორც დასახელებულ პიესებიდან სჩანს, სოხუმის დრამის წრევანდელი მოღვაწეობის პანორამა საკმაოდ ვრცელია და საგულისხმო. მთელი სეზონის განმავლობაში დაიდგა ათი პრემიერა და სულ გაიმართა ოცდა ათი წარმოდგენა.



„რ ო გ ო რ“
(პროლოგი და ეპილოგი)

ყოველ წარმოდგენას დიდძალი ხალხი ესწრებოდა. სოხუმის ქართულ თეატრს ჯერ არ ახსოვს, რომ ასეთი ყურადღება ქონოდეს თეატრს მიქცეული. მთლიანად სოხუმის მუშა-მოსამსახურეები თეატრის ყოველ ახალ გამოსვლას ხვდებოდენ სიყვარულით და სიხარულით. მთელმა სოხუმის პრესამ ერთხმად აღნიშნა, რომ ქართულმა თეატრმა სავსებით გაამართლა მასზე დაკისრებული მოვალეობა და ამით საძირკველი ჩაუყარა სოხუმში ქართულ თეატრის არსებობას.

**თეატრალი.**



„ყარაბ და ემზარ“, (მესამე მოქმედება

# ჭიათურის მუშ. თეატრი
## გასტროლები თბილისში

დღევანდელი დღის უდიდესი ამოცანაა — დავუახლოვოთ ხელოვნება მასებს, ჩავაბათ ფართო მშრომელი მასები ხელოვნებაში. ამ მიზნით იქმნება მრავალი წრეები საწარმოებში, მუშათა კლუბები, მუშათა თეატრები და სხვ.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჭიათურის მუშათა თეატრიც. ეს პირველი ცდაა საქართველოში მუდმივი მუშათა თეატრის შექმნისა, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით.

ამ თეატრში მუშაობენ ახალგაზრდა მუშები, რომლებიც მომავალში საუკეთესო სცენის მოყვარენი იქნებიან. თეატრს დიდი მუშაობა ჩაუტარებია მუშებისაგან მსახიობების აღსაზრდელად. თეატრმა გვიჩვენა ხუთი დადგმა, რომლებიც უახლოვდებიან აკადემიური თეატრის დადგმებს. თეატრმა პირველ დადგმად გვიჩვენა ს. შანშიაშვილის „ბრაზი“ (იგივე „ყამირი“), ეს პიესა უეჭველად აქტუალურ საკითხებს აშუქებს. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ფონზე—აი, ამ პიესის დედა აზრი. ამ პიესის შესახებ თავის დროზე ბევრი ითქვა და ბევრი დაიწერა პრესაში. ამიტომ აღარ შევეხებით მის მნიშვნელობას და ავკარგიანობას. ვიტყვით მხოლოდ მის გაფორმებაზე.

თეატრმა სწორედ გაიგო და კარგადაც ასახა ამ პიესაში მოცემული კლასობრივი ბრძოლა და კოლექტივიზაციის მნიშვნელობა.

პიესა იწყება მეფანდურის სიმღერით მუხაჯ. სიკოს გმირობაზე, რის შემდეგაც მისი სცენაზე ყოფნა სავსებით გამართლებული და მაყურებლისათვის თავიდანვე გასაგებია. მშვენივრად არის მოცემული სოფლის ერთი კუთხე, ეკლესიით ერთის მხრივ და აღმასკომით და სკოლით მეორეს მხრივ. გრძნობ ნამდვილ სოფლის იერს. არაფერი ზედმეტი. კარგად არის გამოყენებული სინათლე. რაც შეეხება მსახიობთა თამაშს, უნდა ითქვას, რომ იგი სათანადო სიმაღლეზე სდგას. თვითეულ მსახიობს კარგადა აქვს შეგნებული თავისი როლის მნიშვნელობა და კეთილსინდისიერად ასრულებს კიდეც მას, რაც ჰქმნის მტკიცე ანსამბლს, განსაკუთრებით გამოირჩევიან ზახარიჩის, გუნაზის, პავლეს, სანდალას და მუნჯი სიკოს ფიგურები. საერთოდ სპექტაკლი კარგად არის დამუშავებული, რაც მიეწერება, როგორც რეჟისორის მუშაობას, ისე თვითეული მსახიობის მიერ საქმისადმი ყურადღებით მოპყრობას.

რეჟისორ ფირანგიშვილს დიდის მოფიქრებით დაუდგავს ს. შანშიაშვილის ორიგინალური კომედია „პროტექცია“. სადა გაფორმება და მსახიობების დაკვირვებული თამაში დიდს აღტაცებას იწვევს მაყურებელში.

ასევე კარგად არის გაფორმებული ია ეკალაძის „ზეინკალი“. ეს პიესა ეხება მეტად აქტუალურ თემას, მუშათა გამომგონებლობას. სპექტაკლი გაკეთებულია კინემატოგრაფიულად. ორ სართულიანი სცენა, რამდენიმე სამოქმედო მოედნით. მოქმედებები ამ მოედნებზე სწრაფად სცვლიან ერთი მეორეს, როგორც კინოს კადრები. ეს აცოცხლებს პიესას და არ ღლის მაყურებლის ყურადღებას, რაც უფრო აადვილებს პიესის ათვისებას. მსახიობთა თამაში აქაც სათანადო სიმაღლეზე სდგას.

არ გამოვუდგებით ყველა პიესების ცალკე შეფასებას. ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. საერთოდ აღსანიშნავია თეატრის დიდი მიღწევები. თეატრს თავის მუშაობის პროცესში ბევრი ახალი და საინტერესო რამ უპოვია. თეატრს უეჭველად აქვს მომავალი.

კარგი იქნებოდა თუ თეატრი თავის გასტროლების დასრულების შემდეგ წარმოდგენებს გამართავს მუშათა კლუბებში. ამაში მატერიალური დახმარება უნდა გაუწიონ დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა, თორემ თეატრს არ შეუძლია ასეთი დიდი ხარჯების გაღება.

**თ. მ—ლი.**

17
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქ ა რ ა ო ც ი*)

## პატარა გაუგებრობა და დიდი ფაქტები

ერთ დღეს რესტორანში ძალიან დაღლილები შემოვიდნენ: ლონგინოზი, გორგოლა და ბესარიონი. ლონგინოზი ჩვეულებრივად წინ მოუძღოდათ.

რესტორანში აუარებელი ხალხი სადილობდა. განაპირად მუსიკა უკრავდა. ლონგინოზი შეჩერდა და ხალხს თვალი გადაავლო.

— გორგოლ! აი, ეს მუსიკა ჩვენთვის მოუწვევიათ. ხომ გეუბნები, რომ დიდს პატივს მცემენ!

ლონგინოზმა აქ კი გაბედა და თავისი პალტო გაიხადა, უფრო იმიტომ, რომ თავისი ახალი კოსტიუმი ხალხისათვს ეჩვენებია.

კოსტიუმის სადილეში გორგოლამ რაღაც ნიშანი შენიშნა. დააცქერდა.

— ეგ რა არის, ლონგინოზ?

— გუშინ მომიძღვნეს!

სადილეში „ქნარი“ ეკეთა უბრალო თუნუქის, რომელსაც ბავშვბის სათამაშოდ ყიდულობენ. ამის მაგვარი წინადღით ერთს „სახალხო მსახიობზე“ ენახა და თავისთვის თვითონ ეყიდნა: „მე რა ნაკლები დამსახურებული ვარო?“ უთუოდ პალტოც ამის გულისთვის გაიხადა, რომ ხალხს დაენახა.

პალტო მაგიდის გვერდით კედელზე დაჰკიდა სხვა პალტოებთან ერთად. ლონგინოზმა მახლობლად მჯდომ უცნობებს თავის სათვალეებიდან გადაჰხედა ისეთის მედიდურობით, თითქოს არიშნა: შემომხედეთ, რა ბედნიერები ხართ, თქვენს ახლოს ლონგინოზ ტურაბელი სადილობსო,

— მაშ საღამოზე დიდი ჰაპანწყვეტა მექნება! — სხვების გასაგონად სთქვა ლონგინოზმა და მაგიდას მოუჯდა.

ლონგინოზმა უფრო ხმა მაღლა დაიწყო და აქეთ იქით ისროდა სიტყვებს: —ტეხნიკმა დამავალა, საღამოზე ჩვენი ქარხნების შესახებ მოხსენება გავაკეთო. ყველა თავჯდომარეები იქ იქნებიან და, გარწმუნებთ, გასჭრის ჩემი მოხსენება! შეძრავს ყველას გონებას...

ოფიციანტმა სადილი მოუტანა.

— მაშ მე ლონგინოზ ტურაბელი არ ვყოფილვარ, თუ ჩემი არ გავიტანე... — კიდევ გაიმეორა.

„ლონგინოზ ტურაბილი“ ისე დაიყვირა, რომ ძალაუნებურად შორს კუთხეში მყოთმა მუშტრებმაც კი პირთან მიტანილი კოვზები და ჭიქები შეაჩერეს.

— ჰხედავთ, ჩემი გვარის გაგონებაზე, როგორ ყურები აცქვიტეს... გორგოლ, არც ეხლა გჯერა?

რამდენიმე ჭიქა დალიეს და ლონგინოზი წამოხტა:

— რა მოგივიდა? — კითხა გორგოლამ.

— ყოვლად შეუძლებელია, რომ ჩვენს ტეხნიკს პატივი არ ვცეთ! მე რომ მივიდე მასთან, ეს უხერხულია. მაგრამ ბესარიონმა რომ სთხოვოს, ეს მიზანშეწონილი იქნება.

და აღარ მოუცადინა ბესარიონს, სანამ ტეხნიკის მისაპატიჟებლად არ გაგზავნა. გორგოლაც უკან დაადევნა.

— წადი, შენ კიდევ ჩემ მაგიერ სთხოვე, მე კი აქ თადარიგს გავწევ, მწვადებს დაგახვედრებთო.

რესტორანის ბოლოში გრძელ მაგიდაზე შემთვრალებულებს ჩხუბი მოუვიდათ. ლონგინოზი მათკენ გაექანა „წესიერების აღსადგენათ“. იცნობდა, თუ არ იცნობდა ეგ სულ ერთი იყო. ციბრუტივით ტრიალებდა მათ შორის.

ჩხუბი გამწვავდა. ლონგინოზი აზავებდა და ერთს მოჩხუბარს უყვიროდა:

— არ გეკადრება! ჩემი ხათრი უნდა გქონდეს... იცი, მე ვინ ვარ?

— ვინ ოხერი ხარ, მომცილდი თავიდან!

— ნუ თუ მე ვერ მიცნობ?

მეორე მოწინააღმდეგე სხვებმა ველარ გააჩერეს, მან ხელი სკამს წამოავლო და მოპირდაპირეს გამეტებით ესროლა.

ეს გამოქანებული სკამი ლონგინოზს თავში მოხვდა, დარეტიანდა და წაიქცა, როგორც მოჭრილი ხე.

ლონგინოზის წაქცევამ ჩხუბი შეანელა. ყველა მას დასჩერებოდა: ვინ არის ეს კაცი? ჩვენთან რას ეჩხირებოდაო.

დიდხანს გონს ვერ მოდიოდა, მოჩხუბრები შერიგდნენ და დამშვიდდნენ. ლონგინოზი მიიყვანეს მაგიდაზე. გონზე ძლივს მოვიდა.

ამ ხნის განმავლობაში, ამავე რესტორანში მოხდა სხვა სკანდალიც.

იქ, სადაც ლონგინოზმა პალტო დაჰკიდა, და სადაც, კუთხეში, უცნობები ისხდნენ, მოვარდა მეხუთე უცნობი და უთხრა:

— მილიციამ კვალს მოაგნო, აბა, თავს უშველეთო!

ყველანი უცბად წამოიშალნენ, სიჩქარით ერთმა ლონგინოზის პალტოს დასტაცა ხელი და რესტორანის მეორე კარიდან გავარდა.

მილიციის უფროსი მილიციონერებით რესტორანში შემოიჭრნენ. სხვა მილიციონერები გაქცეულებს გამოეკიდნენ.

— აი, ასეთი პალტო ეცვა, — სთქვა მილიციონერმა და პალტოზე მიათითა.

— ვისია ეს პალტო? იკითხა მილიციონერმა.

ლონგინოზმა წამოახილა თვალები.

— მაგ პალტოს ხელი უშვით და გაიარეთ!

— ვისია ეს პალტო? — გაუმეორეს.

— ეგ პალტო ზერეთის დელეგატისაა, რომელიც საღამოზე ვრცელ მოხსენებას კითხულობს — ეგ პალტო ჩემია.

გაჩხრიკეს პალტო და ჯიბეში აღმოჩნდა სხვადასხვა ნაქურდალი ძვირფასეულობა და აუარებელი გასაღებები. ლონგინოზი თავის პალტოს თვითვე გაკვირვებული უცქეროდა.

ლაპარაკი აღარ აცალეს, სტაცეს ხელი და წაათრიეს. გზადაგზა ეჩხუბებოდა: როგორ მიბედავთო, მაგრამ ყურს აღარავინ უგდებდა.

## ლონგინოზი „კუტუსკიდან“ საგიჟეთში

ლონგინოზს მილიციის ნაწილში დაჰკითხეს. ის ყველაფერს მართალს უამბობდა, რომ ის დელეგატია და ზერეთში ქარხნებს აშენებს, რომ დინამოს საყიდლად ჩამოვიდა და მოხსენებას კითხულობს, მაგრამ ისე არეულად ლაპარაკობდა, რომ მილიციის უფროსი დაეჭვდა: ჭკუაზე შერყეული ხომ არ არისო და ექიმი გამოიწვია.

ექიმმა ლონგინოზს ახედ-დახედა და სთქვა:

—უთუოდ შერყეულია! ლუესისაგან! არა, არ სიმულიანტობს! უთუოდ მესამე სტადიაში იქნება! საჭიროა ანალიზი!

ლონგინოზი ეფიცებოდა: სრულიად საღ გონებაზე ვარ, ძალად ნუ მაგიჟებთო, მაგრამ შეადგეს „სასწრაფო დახმარების“ ავტომობილში და „სულით ავადმყოფთა“ კლინიკაში ამოაყოფინეს თავი.

## ლონგინოზი, ვითომც ბანდიტების მეთაური, რომელიც მტკვარში თავს იხრჩობს

რესტორანიდან გაქცეულ უცნობებს გამოეკიდნენ. განსაკუთრებით დიდი იერიში მიიტანეს იმ უცნობზე, რომელსაც შეცდომით ლონგინოზის პალტო ეცვა. სჩანს, ეს იყო მათი მეთაური და მილიცია სცდილობდა იმის ხელში ჩაგდებას.

უცნობი დაეშვა ბაღზე. მიუხვივ-მოუხვია და როცა მტკვრის ხიდზე შედგა, აქ გაიძრო პალტო, რომ ცურაობა არ დაეშალნა და ხიდიდან მტკვარში გადავარდა. მილიციონერებმა პალტო უფროსს მიუტანეს და მოახსენეს, რომ ამის პატრონმა მტკვარში თავი დაიხრჩოო

ნახეს პალტოს ჯიბეები და აღმოჩნდა ლონგინოზ ტურაბელის პირადობის მოწმობა.

მეორე დღეს გაზეთში ქრონიკიორი აცხადებდა სენსაცურ ამბებს:

„ბანდიტების მეთაური, ლონგინოზ ტურაბელი, დაბა ზერეთის მცხოვრები, მილიციონერებს ცოცხალი ხელთ არ ჩაუვარდა და ხიდიდან მტკვარში გადავარდა და დაიხრჩოო“.

ამ დროს კი ნამდვილად ლონგინოზს, გაშიშვლებულს, კლინიკაში სისხლს უშინჯავდნენ.

გორგოლამ და ბესარიონმა ის ამბავი, რომ წაიკითხეს, პირველ ხანად გონს ვერ მოვიდნენ.

დატრიალდნენ ლონგინოზის შვილები და სიძე. მივიდნენ მილიციაში, სახეს ლონგინოზის პალტო და მოწმობა. სინამდვილეს შეეჩვერებოდა.

იმავ საღამოს ილიკო თავისი ცოლით ზერეთში წავიდა სოფიოს სანუგეშებლად.

იმათ თან გაჰყვა გორგოლაც, ყველაზე და ნაღვლებული ასეთ მოულოდნელ ამბით. ხოლო ბესარიონი და სიძე დიანო თბილისში დარჩნენ. სიძე მიტომ, რომ ლონგინოზის გვამი მტკვარში ეპოვნა, ბესარიონი კი — ზერეთის საქმეების მოსაგვარებლად და დინამოს წასაღებად.

ლონგინოზი კლინიკაში ექიმს ეჩხუბებოდა:
— მე დინამოს წასაღებად ჩამოველ, თქვენ აქ გიჟად მაცხადებთო?

ექიმი ეკითხებოდა:

— რად გინად დინამო?

— სამი ქარხანა უნდა ავამუშავოთ.

— დინამო რით უნდა აამუშავოთ?

ექიმს ლონგინოზი გაკვირვებული უცქეროდა და გულში ფიქრობდა:

— აი გიჟი! დინამო თვითონ ქარხნებს ამუშავებს!

— ტურბინს მიუდგავთ, თუ მატორს?

— ქარხნებს, ქარხნებს!

— კი, მაგრამ ენერგიას საიდან მიიღებთ!

— დინამოდან! რომელიც ოცი თუმანი ღირს..

— მარტო დინამო ხომ მკვდარია!

— მკვდარი შენ თვითონ ხარ, შენ ჩემზე და იმ ტეხნიკაზე მეტი იცი? გამიშვი ამ საგიჟეთიდან....

აქ კი ექიმი ნამდვილად დარწმუნდა, რომ ლონგინოზი ნამდვილად შერყეული იყო. თავი ინჟენერად მოჰქონდა, ქარხნებს აშენებდა და იმის ცოდნაც კი არ ჰქონდა რომ, დინამოს ტურბინებიდან, ან მატორიდან უნდა მიეღო ენერგია, რომ შემდეგ ჩარხები მოძრაობაში მოეყვანა.

## ბესარიონმა ზერეთიც იხსნა და ლონგინოზიც

კრებაზე ტეხნიკთან ერთად ბესარიონი გამოცხადდა. მთავრობის წარმომადგენლებს დაწვრილებით გააცნო ზერეთის ამბავი და ბევრი იცინეს ლონგინოზის პროექტზე. დაადგინეს: ზერეთს მისცენ სამოც ძალიანი მატორი თავის მოწყობილობით, რათა ზერეთის არტელს აუარებელ შრომას მუქთად არ ჩაევლო და წისქვილი მაინც აემუშავებინა.

მიუჩინეს მცოდნე ტეხნიკოსებიც საქმის დასაბოლოვებლად.

---

*) იხ. „დროშა“ № 2, 3, 4, 5, 6, 7.

ეროვნული

როდესაც ბესარიონი ამ იარაღებით სადგურზე ვაგონს ტვირთავდა, მილიციიდან კაცი მოვიდა და სთხოვა მილიციაში გამოცხადებულიყო.

ბესარიონი მილიციაში ჯერ არც კი შესულიყო, ისევ ეზოში იდგა, რომ შემოესმა ყვირილი:

— 'აი, ბესარიონი! ჰკითხეთ! კაცო, ჰკითხეთ!'

ბესარიონი შევიდა თუ არა, ლონგინოზი ყელზე შემოეხვია.

— კაცო, მე ვიღაც ბანდიტს მამსგავსებენ, უთხარი რამე.

ბესარიონმა ლონგინოზი გაანთავისუფლებინა.

მიდიოდნენ ქუჩაზე და ბესარიონს ელაპარაკებოდა: ეხლა ნახე, ფიდო როგორ სიხარულით ცას ეწევა. მაგრამ შინ რომ ცოცხალი მივალ, ელდა ეცემა და თან გადაიტანს.

## ზერეთში სოფიოს გლოვა და ფიდოს სამძიმარი

სოფიოს სიძიდან რომ ალარაფერი ამბავი მოუვიდა, ტახტზე ლონგინოზის ტანისამოსი დააწყო, მუთაქაზე ლონგინოზისავე სურათი მიაყუდა და ტიროდა.

ხალხი მიდიოდა და სამძიმარს ეუბნებოდა. იყო ცერემონია, როგორც ეს ჩვევიათ, განსაკუთრებით, თილისმა ხალხს.

ამავე დროს ფიდო დათუკიძე მართლაც სიხარულით ცას ეწეოდა. გააკეთებინა ერთი ყვავილების გვირგვინი, შიგ ლონგინოზის სურათი მოათავსა და მივიდა სოფიოსთან სამძიმრის სათქმელად.

თავბრუ დაესხა, როცა იქ ნახა თავისი ქალიშვილი ელისო ილიკოსთან ხელგაყრილი, სამგლოვიარო ტახტის წინ გაჩერდა. ესმოდა სოფიოს მოთქმა:

-- ვისაც შენი სიკვდილი გაუხარდეს, თავ გამოგყვეს. ვინც შენ სიცოცხლეში არ გისვენებდა და გამწარებდა, ხვალინდელი დღე ნუღარ გაუთენდეს! ლონგინოზ, პატარა ხანს გეცოცხლა, რომ ჩვენი თავი დაგეპურებინა და მერე სადაც დიდი წყალი იყო, იქ გადაჩეხილიყავ. ერთი ათი წლით უზრუნველგეყო, ტუფლები მოგეტანა, კაბა გეყიდნა და მერე თუნდა....

ფიდოს გულში ეცინებოდა. სოფიომ გადმოჰხედა და შეუბღვირა:

--- რისთვის მოსულხარ? გაგიხარდა მისი სიკვდილი?

ფიდო წარდგა ტახტის წინ და დაიწყო:

--- ამ დაფნის გვირგვინში ფული დამიხარჯავს, რომ პატივი ვცე. მიპატიებია, რაც ჩემთვის წყენა მოუყენებია და რომ თავი უფრო ადრე დაეხრჩო, მაინც უგვირგვინოდ არ დავმარხავდი. ის ადრე და მალე სულ განათლებული (აქ უნდა ფიდოს ეთქვა ჩაძაღლებული) მისაყვედურებს, რატომ კუბოში არ ჩავდე და მიწა მე არ მივაყარე, მაგრამ თევზებისთვის იქნებ უფრო მადლი იყოს. ახირებულს აკი ბოლოც ახირებული ჰქონდა.

—დარწმუნებული ვარ, — უთხრა სოფიომ --- გახარებული არც შენ დარჩები და ჩემს ჰირს წაიღებ.

სოფიომ კიდევ უთხრა მწარე-მწარე და შემდეგ ასე დაამთავრა: შენი გომბიო რომ ჩემს ილიკოს შეურთავს, მზითევი დაუმზადე, თორემ მოგთხრი ძირიანად, შე ქოფაკო!

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, მოისმა საზანდარის ხმა. ყველამ უხერხულობა იგრძნო. აქ ლონგინოზს გლოვობდნენ და მათ ეზოში კი საზანდარი უკრავდა.

სადგურზე ლონგინოზი ცოცხალი რომ უნახავთ, მეგობრებს და ნაცნობებს გახარებიათ და საზანდარით ექეიფებინათ და ახლა სახლისკენ აცილებდნენ.

ლონგინოზი მგლოვიარეებს ასე მოულოდნელად რომ გამოეცხადა, ყველანი სახტად დარჩნენ. განსაკუთრებით შეშინდა ფიდო დათუკიძე და დაიძახა:

— კაცო, ერთხელ ძლივს მოჰკვდი, კიდევ შეცხადები?

— მე არ მოვკვდები, არა, სანამ შენ არ გაგისტუმრებ! ეს გვირგვინი ჩემთვის მოიტანე?

წაგლიჯა გვირგვინი ხელიდან და კისერზე ჩამოაცო.

ელიკოს და ელისოს მიუბრუნდა და უთხრა:

— თუ გინდათ, რომ შეუღლების ნება დაგრთოთ, შიაფუურთხეთ ამ მუზმუზელას!

შემდეგ წელში გაიმართა, შეგროვილ ხალხს თვალი გადაავლო და სთქვა:

—· მაინც ბრუნავს! მაინც ბრუნავს!

და ეს ისე რიგად პათეთიურად სთქვა, რომ ვამგონს უნდა გაეგო, თუ მომავალში რა გეგმებს აწყობდა და რას მოიქმედებდა.

ეპილოგი.

## აწეული ტემპერატურა

როგორც იქნა, ზერეთში წისქვილი კი აამუშავეს, მაგრამ სხვა ქარხნებს აღარაფერი ეშველა.

წისქვილის გამგედ თვით ლონგინოზი იყო, მაგრამ წისქვილს იმდენ ყურადღებას არ აქცევდა, რამდენადაც თავის ახალ გამოგონების პროექტზე მუშაობდა. ის ამბობდა:

— ქარხანა კარგია, მაგრამ ადამიანს მაინც შრომა სჭირდება; მე ისეთი რამ უნდა გამოვიგონო, რომ კაცობრიობა აღარ შრომობდეს და მაინც ბედნიერად ცხოვრობდეს.

სანამ ამ დასკვნამდე მივიდოდა ლონგინოზს „მარადიულ ენერგიის" დასაპყრობად სხვადასხვა პროექტები ჰქონდა. და განსაკუთრებით ერთმა პროექტმა ძალიან გაიტაცა.

— მე გამოვიგონე ისეთი საქანელა, რაზედაც სიამოვნებით, ქალი თუ კაცი, გაქანდება და მაღლა კი, სადაც საქანაო ბერკეტის წერტილი თავდება ისეთს ენერგიას მისცემს, რომელიც მთელს მსოფლიოს ეყოფა.

და აკეთებდა საქანელის მოდელებს, საცდელად დაჯდებოდა გორგოლა და დაუმტვრევდა. ბოლოს აღარც ეს აკმაყოფილებდა, რადგან ერთი ადამიანი მაინც უნდა სიამოვნების ვულისათვის გაქანებულიყო და იქნებ ეს სიამოვნება არავის მოესურვებოდა, მაშინ ხომ ადამიანის იძულება გამოვიდოდა; ადამიანის პიროვნების შეზღუდვა კი ლონგინოზს დიდ დანაშაულობად მიაჩნდა.

ლონგინოზმა ისევ ამჯობინა აღმოეჩინა ისეთი რამ. რაც კაცობრიობას შრომისაგან და ჯაფისაგან გაანთავისუფლებდა. ასეთი რამ უთუოდ იყო სადღაც! მაგრამ სად? იქნებ მიწის გულში? ან იქნებ ტყეში, ძველ გამოქვაბულში?

წარმოიდგინა ვითომც ასეთ „რაღაცას" ღაეძებდა და ხევში ნახა აყალო მიწა. გასინჯა გემო. ალბად ძალიან მოშიებული იყო, რომ ეგემრიელა.

--- ბიჭოს! იქნებ ეს იყოს მარადიული საზრდო? და ქვეყანას აჯერებდა, რომ ხვნა-თესვა საჭირო აღარ იყო, რომ მან მიაგნო მუდმივ საკვებს.

მაგრამ ის იმედიც გაუცრუვდა.

— იქნებ „ნატვრის თვალი" იყოს სადმე დამარხული? და თავის თავს აჯერებდა, რომ არის „ნატვრის თვალი". რასაც გინდა ინატრებ და მოგიდის უზრუნველად. ინატრებ კაცობრიობა გარდაიქმნას, გარდაიქმნება. აღარც ჰაეროპლანებია საჭირო; ინატრებ ფრთებს და ჰაიდა — გაფრინდები. ინატრებ ომი აღარ იყოს — აღარ იქნება. ინატრებ: კაცობრიობის მავნებლები გასწყდნენ — გაწყდებიან. ან და რად უნდა გაწყდნენ. ინატრებ გარდაიქმნენ — გარდაიქმნებიან. ამას არაფერი სჯობია, მაგრამ ამის თილისმა სად უნდა იყოს? სად ვნახო?

იფიქრა, ძალიან ბევრი იფიქრა და შემდეგ უცებვე დაასკვნა, რომ „ვეფხის ტყაოსანში" შოთას ნახმარი აქვს ერთი რომელიღაც სიტყვა თუ ეს სიტყვა იპოვა და სამჯერ ახსენა— ბატის კვერცხის ოდენა ნატვრის თვალი ჩაუგორდებოდა ჯიბეში

და დაიწყო „ვეფხის ტყაოსანის" ალფა-დალფა კითხვა ძიება. იმდენ მივიდა, რომ ხანდახან გაზეპირებულ სტრიქონის შინაარსიც აღარ ესმოდა. ბრაზობდა: ეს რა ჯადო წრეში მოვყევი

ბოლოს ვიღაცამ უთხრა, რომ ეგ „სიტყვა „ვეფხისტყაოსანიდან" ილია ჭავჭავაძემ ამოგლიჯა და საფლავში თან ჩაიტანაო.-

ეს ამბავი ლონგინოზმა აღარავის აცნობა, წერაქვით ხელში ზერეთიდან წამოვიდა და ერთ ღამეს მთაწმინდაში აიპარა.უნდა ამოეთხარა ილიას საფლავი და „საუნჯე" ამოეღო, ჩუმად, რომ სხვას არ გაეგო.

ამართა წერაქვი და დაჰკრა.

— რას შვრები, ლონგინოზ? — ჰკითხა ვ ლაპაც

ცნობებ ნაცნობი სახე იყო, მაგრამ ლონგინოზს ვერ მოეგონა, სად ენახა.

--- რა გინდა? ვინ ხარ?

—— როგორ ვერ მიცნობ, მე ვარ ლუარსაბ თათქარიძე; მეც ერთ დროს შენი ნათესავი და ყალიბის კაცი ვიყავ, მაგრამ მაგ ილია ჭავჭავაძემ გამათახსირა და ისეთი სამარცხვინო დაღი დამასვა, რომ დროუამი იმას ველარ წავშლი. საფლავიდან მაგას ძვლები მე უნდა ამოვყარო, რადგან მამაჩემი კაკოს მოაკვლევინა.

შენთან შენმა უფროსმა ძმებმა გამოგზავნეს — გამოყვე — შენ რასაც ეძებ, მანდ არ არის.

— აბა, მაშ შენ გცოდნია, ის სადაც არის.. მასწავლე!

ლუარსაბმა თვითონ რა იცოდა, რა უნდა ესწავლებინა. მხოლოდ ჩიბუხის წევით ლონგინოზს წაუძღვა.

ერთის გამოქვაბულთან, წყაროს ახლოს, მიიყვანა, სადაც მწვანეზე მხართეძოზე წამოწოლილიყვნენ: დონ კიხოტ, ფაუსტ, ჰამლეტ და ტარიელ. ესენიც საკაცობრიო საკითხებს იხილავდნენ და დღე-ღამეს ლაპარაკში ატარებდნენ.

ტარიელს შველი მოეკლა. ქოსატყუილას გაეტყავებინა და ნაცარქექია ცეცხლზე სწვავდა, თან იძახოდა: კუჭი გამიძღეთ და რაზედაც გინდათ, ილაპარაკეთ — ენას ძვალი არ აქვსო! ყბედს ვინ მოღლის და — მუნჯიო!

ქოსატყუილა ლაპარაკობდა და ლონგინოზს ასმენდა:

— "შველი რომ გამოვშიგნე, კუჭიდან ბატის კვერცხის ოდენა მარგალიტი გადმოვარდა; ვინატრე: ნეტა ამისთანა სათითაო მოგვცა მეთქი და ხუთი მარგალიტი კიდევ გამოგორდა. კიდევ ვინატრე: ნეტა ლონგინოზი ჩვენთან გაჩნდეს მეთქი და ნახეთ — ჩვენთან არის! ეგ უბედური, ნატვრის თვალს დაეძებს და არ იცის, რომ იგი ჩემს ხელშია!

ის კი იყო, ლონგინოზი ქოსატყუილას უნდა სცემოდა, და წაერთმია, რომ ძველი ქვეყნის რაინდებმა შეაჩერეს.

ლონგინოზმა მათ პირი მოარიდა, რადგან ერთ დროს ყველას ამასხარავებდა და ქარაფცებს ეძახოდა.

ტარიელმა უთხრა: შენ მეკობრე ხარ? ყაჩაღი? კაცობრიობის გასაბედნიერებლად მოსულხარ?

ჰამლეტმა ჩაილაპარაკა: ჰოი სირცხვილო სადღა არის შენი სიწითლე!

დონ კიხოტმა ქვაბების მკალავად მიიღო ლ სანჩოსთან გზა მიასწავლა ჩაფხუტის მოსაკალავად. ბოლოს ხელი დაუქნია: ახლო მოდიო და ჰკითხა:

--- რა უგზო-უკვლოდ დაეხეტები? განა ეს არ შეყო ამდენი ქარაფშუტობა, რომ შენც ჩემს ფეხის ხმას აჰყოლიხარო?

ჰამლეტმა ჩაიცინა და სთქვა:

— ამ სულელს, თავისი სულ უქრის, ტვინში დაეძებებ ნატამალიც კი არ მოეპოვება და კაცობრიობის „ყოფნა-არყოფნას" ერთის ხელის დარტყმით სწყვეტავს!

ერთხელ დაბერებულმა და მეორედ გაახალგაზრდავებულმა ფაუსტმა რაღაც ღრმა აზრიანი სიტყვები უთხრა, რომლის შინაარსი ლონგინოზმა ვერ გაიგო, გამოთაყვანებული შესცქეროდა, თითქოს ეხვეწებოდა: კიდევ გამიმეორეო!

მაშინ ფაუსტმა სცადა, მდაბიო ენით ეთქვა, როგორც ბავშს ელაპარაკებიან:

— Homunkulus! Homo sum, humani nihil a me alienum poto და მე მხოლოდ წიგნებში გავიყინე და ვერაფერს გავხდი! შენ, მოკლებული ყველა ამას, ჩემს ფეხს რათ მოჰყევ, როდესაც ჩემი კვალი ცხოვრებისთვის მიუღებელია!

და ტარიელმა მათრახი გადაჰკრა, რის გამო ლონგინოზმა ტკივილის ნაცვლად სიცივე იგრძნო.

ტახტზე მწოლიარე ლონგინოზმა თვალები გაახილა,თავზე ექიმი ედგა და სიცხისაგან გახურებულ შუბლზე ყინულის პარკს ადებდა. ექიმს დააშტერდა და შემდეგ წამოიძახა თავისი საყვარელი: „მაინც ბრუნავს! მაინც ბრუნავს".

**სანდრო შანშიაშვილი.**

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲖᲐ ᲓᲐ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘ“*)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული მწერლობა სრულიად ახალ საზღვრებს უახლოვდება. სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე ეტაპზე, ის ჟანრიდან ჟანრზე და პოზიციიდან პოზიციაზე ქანაობს.

მთლიანი ლიტერატურული ყოფაც შემცველია ყველა იმ ელემენტებისა, რომელსაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება იძლევა. ჰიდილი ლიტერატურის ყოფაში, მისი ფორმალი დიფერენციაციით კი არ არის გამოწვეული, არამედ მწერლობის ფაქტთა ფუნქციონალური დანიშნულებით.

მწერლობის დიდ ნაწილს თანამედროვეობის მოთხოვნილებები შეთვისებული არა აქვს და ამიტომაც მხატვრული ფაქტები ჩნდებიან ბლაგვი და უსიცოცხლო. დღევანდლობაში საერთოდ რევოლიუციაზე ლაპარაკი და ოქტომბრის რევოლიუციის განვლილ ეტაპების აღნიშვნაც არ არის საკმარისი. ბეჭდვითი სიტყვა პროლეტარიატის ხელში მჭრელი იარაღია. პროლეტარიატმა ის უნდა გამოიყენოს თავის მიღვაწეობის მთლიანი ფიქსაციისათვის და მოღვაწეობის პერსპექტივისათვის. ამიტომაც ლიტერატურული ფაქტის ფუნქციონალობა დღიურ ჩარჩოებში ეტევა და „მარადისობისაკენ“ ლტოლვას სტოვებს.

ნათქვამიდან ცხადია, რომ მწერლობის დღევანდელ პირობებში გაზეთი ახდენს თავის ფორმალ გავლენას მხატვრულ ლიტერატურაზე.

ეს ხდება მისი ფუნქციის სიმტკიცის გამო. მწერლობის ყოფა ირყევა. ერთი მხრივ დგებიან „მარადისობის“ მძებნელი მწერლები და მეორეს მხრივ—დღიური აქტივისტები, რომლებიაც სურთ დღევანდელი სოციალისტური მშენებლობის აქტიური მუშაკები გახდნენ და ყოველდღიურ საქმიანობაში მონაწილეობა მიიღონ.

ლიტერატურაში საზოგადოებრივ დანიშნულების ცნებას აქტუალურ მასალასთან ერთად ჟანრების სიახლეც შეაქვს. რამდენათ ყოველი ფორმა შედეგია ნაწარმოების დანიშნულებითი გამიზვნისა და აღებული მასალის კარნახის, იმდენათ მხატვრული ფაქტი მიზანში ხვდება. გაზეთის მაგისტრალური ხაზი პუბლიცისტიზმში გამოიხატება. ფუნქციონალურად გაზეთთან მიახლოვებული მხატვრული ფაქტების დამახასიათებელ თვისებათაც პუბლიცისტიზმი უნდა იქნეს აღიარებული. გაზეთურობიდან გამომდინარე ჟანრები, რომლებიც მხატვრულ ლიტერატურაში მოქალაქეობრივ უფლებას პოულობენ, არის უმთავრესად ფელეტონი, ნარკვევი და პამფლეტი.

არის შემთხვევა ჩვენს საქმიანობაში, როდესაც მომქმედ აპარატს სჭირია შეკეთება და შეკეთება ისეთ პირობებში ხდება, რომ მისი მოქმედება შეკეთების დროსაც შეჩერებული არ არის. აქედან ცხადია მხატვრულ მწერლობაშიც სტატიური ჟანრები ვერ აღწევს მიზანს და მომქმედი ლიტერატურულ სახეებში რასაკვირველია ე. წ. „მსუბუქი“ ჟანრებია გამეფებული. ისინი იწევენ წინა რიგებში და მისი საშუალებით ხდება დღევანდელი ლიტერატურული საქმიანობა. ქართული ლიტერატურის სინამდვილეში, თუ მთლიანად არა ნაწილობრივ მაინც. ვხედავთ ძვრას თანამედროვე ამოცანების შეგნებისაკენ. რამდენათ ეს ძვრა მხატვრულ ჩარჩოებში ეტევა თავის წარმოებითი მომენტებით, იმდენათ ნარკვევების მთელი რიგი გამოდის სამწერლო მოედანზე.

ჟურნალისტური და პუბლიცისტური მწერლობა დღიურ საკითხებისადმი. მხატვრულ ოსტატობის საშუალებით, მკითხველში ინტერესს იწვევს და აძლიერებს ინტერსს დღევანდელ სოციალისტურ საქმიანობაზე. ფელეტონი, ნარკვევი და საერთოდ ჟურნალისტური მწერლობა, პუბლიციზმით გამსჭვალებული „კომფორტის“ და „დამშვენიბელის“ როლს-კი არ ასრულებს, არამედ მოქმედების უნარს აცხოველებს მკითხველში და ამით სოციალისტურ მშენებლობაში უშუალო მონაწილეობას ღებულობს.

ხსენებულ ამოცანისა და მწერლობის შინაგანი მდგომარეობის სწორმა გაგებამ წამოჭრა ჩვენში მთელი რიგი მხატვრული ფაქტებისა, რომლებიც დღევანდლობის ნიშნით და ნარკვევების სახით გამოჰქვეყნდა უკანასკნელ დროს ჩვენს მწერლობაში.

ფაქტის ლიტერატურის პროპაგანდა უკვე რამდენი ხანია ჩვენში მიმდინარეობს, მაგრამ მისი ჩამოყალიბებული ნიმუშები მხოლოდ კ. ლორთქიფანიძის „ახალი გლეხობისა“ და ამ სტრიქონების ავტორის „ერთი თვე სვანეთში“-ს შემდეგ იწყება.

მართალია ნ. მიწიშვილმა თავის „ეპოპეიას“ უწოდა დოკუმენტალური პროზა, მაგრამ ის არ შედის ჟურნალისტურ მწერლობის საზღვრებში. „ეპოპეია“ ეკუთვნის იმ წოდების კატეგორიას მწერლობისას, რომელიც ჩვენ „ესსეს“ სახელით გვედება წარსულში. ფაქტის ლიტერატურაში უმთავრესი მაგისტრალური ხაზია მასალის ანალიზი და ნაკლები იმპრესიონიზმი. შთაბეჭდილებით გადმოცემას მასალებისას, ფაქტის ლიტერატურაში სცვლის მასალის ძირეული შესწავლა და ყოველი დეტალის ფუნქციისა და მიზეზის გამორკვევა. „ახალი გლეხები“ ამ მხრივ უსათუოდ არის განსჭვრეტა ასაწერ მასალის ფუნქციის და სემანტიკის. სათანადოთ გადაწინჯულ უნდა იქნეს თავი „სოციალისტი“, სოციალის“ კომუნარები უწოდებენ ტრაქტორს, რომლის შემწეობით არღვევენ მიჯნას და ნივთი თავის მოღვაწეობით ატარებს კომუნარების ხელში სოციალისტურ სემანტიკას.

ამიტომაც ნარკვევის მწერალი ერთი და იმავე დროს ქრონიკორიც, პუბლიცისტიც და მხატვარიც უნდა იყოს. ეს სამი ხაზი ყოველ ნაკვეთში უნდა შეამჩნიოს მახვილმა მკითხველმა. რამდენათ მათ შორის სიტყვის ოსტატის მიერ წონასწორობა დაცულია, იმდენად ნარკვევი მაღალ – ხარისხოვანია და მკითხველ საზოგადოებაში მომქმედი. „ახალი გლეხობის“ ავტორი გარკვევით მისდევს ამ სამ ხაზს და მხატვრული თავდაჭერილობა დაცული აქვს მაქსიმუმამდე.

ნარკვევი მოითხოვს ქრონიკორის და რეპორტიორის დიდ გამოცდილებასაც. ქრონიკა ფიქსაციაა ფაქტის სტატიურ ფორმაში. ამიტომ ქრონიკორი ვალდებულია მიაწოდოს ყოველდღიურ პრესას ცნობების დიდი მარაგი — მათი ტენდენციების გამოურკვევლათ. ქრონიკორის ოსტატობა უნდა გამოიხატოს ცნობების გადმოცემის ლაკონიურობაში და ცნობების კინემატოგრაფიულობაში. ამიტომ ქრონიკა დროისა და სივრცის პირობებში იბადება დაკუმშული და ფაბულარულ სიმრტყიდან დაუძრავი. ნარკვევში-კი ქრონიკალური მასალა იშლება და სიუჟეტურობისაკენ მიისწრაფვის. ქრონიკორის მახვილი თვალი აუცილებელია ნარკვევის ავტორისათვის. მაგრამ ქრონიკორისათვის მხატვრული ოსტატობა სავალდებულო არ არის. ხოლო ნარკვევში მხატვრული სიძლიერის დაუხმარებლათ ქრონიკა ნარკვევის ფორმას ვერ მიიღებს. შეიძლება აღებულ იქნას ერთი თემატიური მასალა (როგორც ეს „ახალი გლეხებშია“ მოცემული) მაგრამ ის დატვირთული უნდა იყოს ქრონიკალური შემთხვევებით, რომელიც მთლიანი თემის ფოკუსის გარშემო და შიგნით შეიძლება დატრიალდეს. ნარკვევი მოითხოვს თემის დეტალების დასახელებას და სიუჟეტის ერთეულთა მნიშვნელობას და რაობის გამორკვევას. „ახალი გლეხები“ გვაძლევს კომუნის შიგნით მომხდარ შემთხვევების ფიქსაციას საგრძნობ მანძილზე, დაწყებული კომუნის პირველი ოქმით და დასრულებული „ღამე შირაქშით“, ჩვენ გვაქვს მთელი რიგი მომქმედი ერთეულებისა კომუნის შინაგან ყოფაში, მისი შეცდომები, მიღწევები და მოღვაწე პირების ცოცხალი ფიქსაცია.

ნარკვევის პრინციპი ყოველი დეტალის გადმოცემაში დაცულია, რადგანაც ყოველი ცალკე ერთეული, „ახალი გლეხობის“ მთლიანი ტენდენციის მაჩვენებელია; რამდენათ დეტალები მიისწრაფიან მთლიანი ტენდენციის ჩვენებისაკენ, იმდენათ ისინი ქმნიან ნაწარმოების სიუჟეტურობას. სიუჟეტობა არ უნდა გავიგოთ ნარკვევებში ბელეტრისტულ ფორმალ ელემენტათ. ბელეტრისტულ ნაწარმოებში სიუჟეტი ფორმის კატეგორიაა და ფორმალ აღნაგობას ნიშნავს. ნარკვევში-კი სიუჟეტობა მთლიან იდეის გადმოცემაა და ნაწარმოების პოლიტიკური ტენდენციის გარკვეულ ფოკუსში ჩვენება.

„ახალ გლეხებში“ ბელეტრისტული სიუჟეტი არ არის. ბელეტრისტული სიუჟეტი ძირითადში გულისხმობს ფაბულის დაუძრავ ერთეულების გაშლას. „ახალი გლეხები“ უფაბულოა და სიუჟეტი მიღწეულია შირაქის გლეხობის აღწერით და საერთოდ კომუნების იდეის პროპაგანდით.

მასალების აღნიშვნა და გადმოცემა უნდა ხდებოდეს ნარკვევში განსაკუთრებული ოსტატობით. უმთავრესად „აღწერითი“ მანერა არ არის დამაჯერებელი მხატვრული ხერხით ნაწარმოებში. საჭიროა ყოველთვის ჩვენება მასალის და მისი პრაქტიკული თვალთახედვა. პრაქტიკული თვალთახედვა იწვევს ნაწარმოების უტილიტარიზაციას მკითხველში.

ამხ. კერესელიძე(?) აღნიშნავდა ამას წინეთ „კულტურა და რევოლიუციაში“ მწერლობის უნაყოფო მუშაობას კოლმეურნეობებში. მისი აზრით მწერლები წინ და წინ არ იყვნენ ამ საქმეს გაცნობილნი და სრულიად ბრმად მივიდნენ კოლმეურნეობათა უჯრედებში. მისი აზრით მწერლები წინდაწინ მომზადებულნი საჭირო ლიტერატურით და პოლიტიკური ცოდნით უნდა გადიოდენ ამგვარ სამუშაოზე. ეს რასაკვირველია უადვილებს მწერლებს ადგილებზე ნაყოფიერ მუშაობას. სათანადოთ საჭირო გამიზნულ ადგილების ყოფითი თვისების და განსაკუთრებული ყოფითი ნიუანსების შესწავლას. „ახალ გლეხობაში“ ყოფითი მასალაც საგრძნობლად არის გამოყვანილი და მხატვრული დამაჯერებლობაც მას საკმაო აქვს. ყოფითი ნიუანსების გადმოცემის დროს ავტორი მიმართავს პარალელიზმს. სათანადოთ აღწერილი აქვს ხონის და სიღნაღის მეტლეები შედარებითი ხერხით. პარალელიზმის ხერხით ის სავსებით აღწევს ნათელ სურათებს ხსენებულ მხარეებში მგზავრობისას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აღწერის ხერხი-კი არ არის მოხმარებული, არამედ აქ მოვლენის ჩვენებაა მხატვრული სინამდვილით. ამასთანავე აქ არის ქრონიკიორის მახვილი თვალი, რომელიც ყოველ ნარკვევისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ჩვენი სხვადასხვა კუთხეების ყოფითი ნიუანსების დაპირდაპირება ხშირად ძლიერ ცოცხალ სახეებს იძლევა. სათანადოთ მოვიყვანოთ შემდეგი ადგილი:

**„როცა გლეხის ჭიშკარს მიადგებით, დაყეფს ძაღლი, გამოჩნდება მასპინძელი და ორივე გამოეშურება თქვენსკენ. იმერელი ყოველთვის გამოასწრებს თავის ძაღლს და დამშვიდებული შეყვებით ეზოში. ქიზიყში პირიქით ხდება. დაწინაურდება ძაღლი და მასპინძლის მოსვლამდე სამჯერ მაინც შემოგარბენინებს ეზოს და გადაგიტრიალებს გულს“.**

დღევანდელი ნარკვევების მთავარი დანიშნულებაა გვაჩვენოს ე. წ. დრამა, რომელიც ხდება ჩვენს ყოფაში ძველი და ახალი ძალების დაჯახებით. ყოფის დრამა იქმნება იქ სადაც ახალი ყოფის ელემენტები ებრძვიან ძველსა და ძველი იბრძვის თავის სტატიურობის შესანარჩუნებლათ. ხშირათ ახალი ყოფის ნივთობრივი კულტურაც იზრდავს ძველი ფსიქოლოგიის ხალხსაც. ხშირად ადამიანის შინაგანი გარდაქმნა დასრულებული არ არის და ის იქცევა ახალ გარემოებაში.

შემდეგ მიდის შეგუების პროცესი, ამ შეგუების პროცესში ხშირად იღვიძებს „მიძინებული“ ძველი და იწყობა „ინსტიქტების ჯანყი“. „ახალი გლეხებშიც“ ეს თავი ძლიერი საგულისხმო მასალაა. ის ძლიერ დასათიქრებელი, ანგარიშის გასაწევი და შესასწავლი მოვლენაა ჩვენს დღევანდელ მშენებლობაში. ვისაც დღევანდელ კოლმეურნეობათა მშენებლობაში მონაწილეობა მიუღია ან გაცნობია მას, შეხვდებოდა ინსტიქტების ამგვარ აჯანყების მაგალითებს. „ახალი გლეხე-

*) კამათის წესით.

პის" ავტორი სცდილობს ამ განყოფილებაში გლეხური ხასიათის გარდაქმნის პროცესი და მისი შემაფერხებელი მიზეზები გვაჩვენოს. ეს ადგილი მხატვრულობითაც ძლიერია და მთლიანად ქმნის ნარკვევის დრამატიულ კვანძს.

ყოველი ნაწარმოები ხასიათდება მთელი რიგი მხატვრულ ხერხებით. მხატვრულ ხერხებში ერთი მთავარი მომენტი პროზაში ყოველთვის ეჭირა მეტაფორას და პერიოდებითი შედარებებს. ნაწარმოებში მეტაფორა ფუტურიზმის შემდეგ უმთავრესად ურბანისტული განხრისაა. ამიტომ ხშირად არაურბანისტულ შედარების მომარჯვება პოეზიაში და პროზაში რეაქციონურ მოვლენათაც კი ითვლება. ამგვარი საყვედური ალბათ ბევრ მწერალს გაუგონია და მომავალში მოსალოდნელია კრიტიკოსებიდან მწერლის დატუქსვა ამ ნიადაგზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამხანაგ კრიტიკოსებს საკითხი შესწავლილი არა აქვთ. რასაკვირველია, არ შეიძლება პროლეტარიატზე სწერო და მეტაფორები ბიბლიდან მოიყვანო, მაგრამ თვითონ მეტაფორის აუცილებლად ურბანისტულობა არ არის სავალდებულო. მეტაფორის შექმნა დამოკიდებულია ასაწერ მასალის რაობაზე. თუ პრიმიტიული იარაღები აწერის დროს მაინც და მაინც აქ მანქანებს შეადარე, უსათუოდ „ნივთების ფეტიშიზმი" გამოვა. ამასთანავე გარკვეულ უნდა იქნეს მხატვრული მასალის გამიზვნა და მისი ფუნქციონალური დანიშნულება. თუ ნაწარმოები გამიზნულია მასიური მკითხველისათვის, მისი მხატვრული შესაძლებლობანი უნდა მისაწდომი იყოს მასისათვის და ამავე დროს მასალის თვისებებთან შეგუებული. ამ მხრივ „ახალი გლეხები" უსათუოდ მიღწევაა. ამ ნარკვევში მოცემული მეტაფორი, ყოველი უბრალო გლეხისათვის გასაგებია და თვით მეტაფორის ობიექტიც შედარებულია მასალის თვისებათ. მაგალითისათვის: **„ისე გაჩერდება ცხოვრება, როგორც ხარებ გამოხსნილი ურემი" ან „იმ წესდების ზოგიერთი მუხლი ბოძებივით ვერ შესდგომოდა თქვენ ახალ საქმეს".** ან კიდევ **„კერძო ცხოვრების დროს რამდენი ჭკვიანი აზრი გაჩენილა მის ფართო შუბლში, მაგრამ ყველანი შიგნითვე ჩამკვდარა და ჩაქოლვილა, როგორც წიწილები, რომელთაც გარედან არ მიშველებიან ნაჭუჭის გატეხვაში".**

ამ მცირე ამონაწერებიდან ნათლად სჩანს რამდენათ ახლოს სდგას ყოველი შედარება მასალის თვისებებთან და ამავე დროს რამდენად ის მისაწდომია მასიური მკითხველისათვის. ყოველი მხატვრული დეტალი კონსტრუქტიული მოვლენა უნდა იყოს ნაწარმოების მთლიან სახესთან და ფუნქციონალურათ გამართლებული ნაწარმოების ყველა პერიფერიებში და მკითხველის გონებრივ ზედმოქმედებაშიაც.

ნარკვევი ყოველთვის უნდა მუშავდებოდეს მკითხველის მასის გათვალისწინებით და მის ინტერესებთან შეთანხმებით. ამ სიბრტყეზე ხდება თვით ნარკვევის დიფერენციაცია. ნარკვევების წერის დროს გამოანგარიშებული უნდა იყოს მკითხველ ფენების შემადგენლობა და მოთხოვნილების თვისებები.

ამ ანალიზში გაწევა სრულიად არ ნიშნავს ნაწარმოებთა ხარისხოვნულ სიმდაბლის პროპაგანდას. აქ უნდა ვთქვათ, რომ გლეხისათვის სხვა მხატვრული ხერხებით უნდა მოშავდებოდეს ლიტერატურული მასალა და ქალაქის მუშისათვის სხვა ხერხებით. ჩვენ ანალიზში უნდა გავწიოთ იმ სიტყვასაც-კი რომელსაც მკითხველი მასსა გაიწევს.

ახალი პროზა რასაკვირველია მარტო „ახალი გლეხობითა" და საერთოდ ნარკვევებით არ ამოიწურება. ნარკვევი ერთი შტოა მთლიანად ახალი პროზის. მხოლოდ გადაწყვეტით უნდა ითქვას, რომ ნარკვევების ლიტერატურა იზრდება და ის ხდება საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის საჭირო მწერლობათ.

ნარკვევებმა შეიძინეს ყველა პროზის ჟანრებში. ყველა ჟანრში მიტანილ მოიყვანა ჩვენი მიმდინარე მშენებლობის თემატიკა ამასთანავე თვით მწერლობაც გაამდიდრეს ახალი მასალებით; „ახალი გლეხობა"-ს გამოსვლას საერთო აზრისა და მიმართულების. დადებითი ... გამოაჩინა პროზაიკოს მეორე პერიოდი. კრიტიკოსები ეძებენ „ახალი გლეხობის" და უიგას „ახალი მუშების" შორის ნათესაობას. ნათესაობა წოდებებშია და ნარკვევის ჟანრში. მასალები სულ სხვადასხვაა და ამიტომაც მხატვრული რეაქციებიც სხვადასხვა გვარია. უკანასკნელად მთავარ მხატვრულ ხერხად უნდა აღიარებულ იქნას „ნაწარმოებითი პორტრეტისტების" აღნიშვნისა და არა ყოფითი პორტრეტისტების ასახვა. წარმოებითი მომენტის ასახვა ადამიანთა და ნივთთა, ნიშნავს ნაწარმოებში შემავალ მასალების დინამიკაში და საქმიანობაში აღნუსხვას. როდესაც „ახალი გლეხობას" კითხულობთ აქ ეს სავსებით თუ არა უმეტეს შემთხვევაში მაინც, საქმიანობით მომენტშია მოცემული და ამიტომ ნაწარმოებში წარმოებითი და საქმიანობითი მომენტი სჭარბობს. ამასთანავე ნაწარმოების ყოველი მომენტი ყოველი დეტალი, როგორც ზემოთაც არის აღნიშნული მასალების საერთო კარნავალს ააშკარავებს. პრინციპი წარმოებითი პორტრეტიზმის „ახალ გლეხებში" მხატვრულად დამაჯერებლად არის მოცემული და ამ მხრივ ის ეგნატე ნინოშვილის „პალიასტომის ტბის" შემდეგ ერთი პირველთაგანია. „პალიასტომის ტბაში" დასახელებული მეთოდი ნივთების, უტილიტარიზმისა და ადამიანის საქმიანობითი წარმატებითი მომენტში მოცემას, უმაღლეს ხარისხშია აყვანილი. რასაკვირველია „ახალი გლეხების" და „პალიასტომის ტბის" სამოქმედო ფუნქციები სხვადასხვაა. სხვადასხვა მასალა და საზოგადოებრივი ატმოსფერა ამ ნაწარმოებთა სხვაობას შობს თავის თავად, მაგრამ მხატვრულ პრინციპებში აქ არის ნათესაობა, რომელიც გვაძლევს უფლებას ეს ნაწარმოები პოლიარულ სიბრტყეზე დავაყენოთ.

ნარკვევების კულტურის გაზრდამ ქართულ მწერლობაში მწერლობის თემატიური საწყობი გაამდიდრა. ქართული მწერლობა მეცხრამეტე საუკუნეში სოფლით საზრდოობდა. დანიელ ჭონქაძიდან დაწყებული დასრულებული ნინოშვილით, სოფლის თემებით დატვირთული იყო ჩვენი მწერლობა და ხსენებული მწერლობის მოვალეობაში შედიოდა სოფლის ტკივილების აღნუსხვა. სხვა განხრით, მაგრამ მაინც სოფლის შინაგანი ჭიდილის აღმნიშვნელი იყო ქართული პროზაულ თქმის დიდი ოსტატი ილია ჭავჭავაძე. აქედან ცხადია სოფლის ყოფა-ცხოვრება იტაცებდა მეცხრამეტე საუკუნის მწერლობის წარმომადგენლებს და მხოლოდ გ. წერეთლის „პირველ ნაბიჯში" დაიწყო ქალაქისა და სოფლის ერთმანეთისკენ ლტოლვის პროცედურა.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ესტეტიზმი გამეფდა ქართულ მწერლობის სამოქმედო მოედანზე, ის თავის თემატიურ არსენალში „ოქროს ფეხებიდან" დაწყებული, დასრულებული კაფეების რომანტიზმით, ცდილობდა საზოგადოებრივ პოლიტიკურ საკითხების მიჩქმალვას და ამასთან დაკავშირებით სოფლის განდევნას მწერლობიდან. საბჭოთა სინამდვილეშიც სოფლის მასალა საკმარისად ვერ იქნა გამოტანილი და გლეხური მწერლობის სექტორი საბჭოთა საქართველოში თითქმის დღესაც არ არსებობს.

ამას წინათ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" ჩვენ შევეხეთ ახალ სოფელს, როგორც თემატიურად რთულ და ჯერ უცხო მოვლენას მწერლობისათვის. ძველი ტრადიციული და სტაბილიზაციაქმნილი ყოფა, მწერლობას შესწავლილი და შეთვისებული ქონდა. „კერის" რომანტიზმი, კერძო საკუთრების ... შექმნილი ინტრიგები: მეზობლობა, სიყვარული, მოსავლის ნადავლი და მთლიანად მთელი მასალა, რომელიც ეტევა გლეხის ინდივიდუალურ და კუსტარულ მეურნეობაში მწერლობისათვის ნაცნობი სახეა. ამის შემდეგ ჩვენ ვღებულობდით უმთავრესად „კულაკის" აპოლოგიას მხატვრულ მწერლობაში. ეს ხდებოდა ხშირად მწერლის განზრახვების-და-უნებურად, რადგან კერძო მეურნეობის და „კერის" რომანტიზმის ფორმები თავის ზედგავლენას ახდენდენ შემოქმედზე. კოლმეურნეობათა გაძლიერებამ და სოფ. ტრაქტორიზაციამ გაზარდა სოფლის სოციალისტური სექტორი საზოგადოებრივად და ის დააყენა ინდუსტრიალურ ქუსლებზე. ერთი მხრივ საზოგადოების სოციალისტური უჯრედები შეიქნენ და მეორე მხრივ ძველმა სოფლის ნივთობრივმა ინვენტარმა დაკარგა სამოქმედო ფუნქცია. ფუნქციადაკარგული საგნები, კარგავენ სამოქმედო ალღოს მწერლობაში და ხსენებულ პიროებს შეჩვეული მწერლობა ჩიხში მოექცა.

სოციალისტური უჯრედები კოლმეურნეობების სახით ქმნიან ახალ დამოკიდებულებას ადამიანთა და ინსტიქტები მუშავდება ახალ მასიურ ჩარჩოებში. ურბანიული ნივთები სოფლის მეურნეობისა ქმნის ნივთებისადმი გლეხობის ახალ განწყობილებებს და კოლექტიური ფსიხიკა მუშავდება დღითი-დღე. სწორედ ეს ორი ხაზი სრულიად ახალ მხატვრულ მიდგომას მოითხოვს თანამედროვე სოფლისადმი, ხოლო „ძველის" შეჩვეულ მწერალს მეთოდი არა აქვს ახალ მასალაზე მუშაობის და იწყება კრიზისი. „ახალი გლეხები" სწორედ ასეთ ხანაში გამოვიდა. რასაკვირველია ის არ არის დასრულებული სახე სოფლის სოციალისტური უჯრედების მხატვრულად გადმოცემისა. მაგრამ მასში პირველად არის მოწყობილი ეს ცდა — სცადა სოფლის ახალი სახეებისა და კონფლიქტების ფიქსაციის, რომელიც წინად მწერლობამ არ იცოდა. კ. ლორთქიფანიძე უპირველეს ყოვლისა დასრულებული მწერალი არ არის და მისთვის ეს არც სამირია, თვით თანამედროვე სოფლის მიმდინარეობის პროცესიც ტალღებრივია და ორი ელემენტის შეხვედრის დროს ჩვენ ვღებულობთ „ახალი გლეხებით" ახალი სოფლის მხატვრულ გადმოცემის გამართლებულ ცდას.

კოლმეურნეობათა მშენებლობის აჩქარებულმა ტემპმა მწერლობაც ჩაითრია. გაიხსნა ახალი თემატიური არსენალი და მან მოითხოვა მხატვრული ჩარჩოები უპირველესად ნარკვევების სახით. ეს ხდება ნარკვევში, რადგანაც როგორც ამხ. ბუაჩიძე ამბობს „ნარკვევი ყველა ჟანრზე უფრო ახერხებს დღევანდელობის მაჯისცემის ათვისებას, დაკვირვითი ტემპებისადმი კვალ და კვალ მიყოლას". სოფელი დაიძრა და ინდუსტრიალურ ნაბიჯებით მიისწრაფვის სოციალისტურ მშენებლობისაკენ. ქალაქი და სოფელი ჩქარი ტემპით უახლოვდებიან ერთმანეთს. ამ დაახლოვებაში აღნიშნულია „დიადი გარდატეხის ეპოქა" და დაახლოვებაში ჩნდება ახალი ურთიერთობანი ადამიანთა და ნივთიერ რხევათა და სოციალისტურ სიბრტყეებზე იბადება ახალი პროზა.

**სიმონ ჩიქოვანი**



აზნავთშენის ნავთსაქაჩავი ქარხანა ბაქოში.

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



კომკავშირელები მხურვალე მონაწილეობას იღებენ პურის ტომრების გადმოტვირთვის კამპანიაში.



თფილისში ლეიპციგიდან მიღებულია 2500 გუთანი. სურათზე: ა/კავკ. სასოფ-სამ. ბანკის წარმომადგენელი ამოწმებს გუთნების ნაწილებს.



კალინინის სახ. ქარხანაში მოეწყო ახალი ელექტრო-სამონტაჟო ცეხი. სურათზე: კომკავშირელი მუშა-ქალები ძრავს აკეთებენ.



თბილისის ექიმთა ბრიგადა კახეთის ოლქში.



სოფ. გორისი (გორის ოლქი). აგარის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ტრაქტორები მინდვრად მუშაობის დროს.

# გამოვიდა და იყიდება

ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიური

ჟურნალი

# „ბოლშევიკი"

საქ. კომპარტ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის ორგანო

## ხელისმოწერა მიიღება

## თბილისში:

„კომუნისტი"-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთ. პრ. № 34)

ფოსტის ცენტრალურ საგაზეთო ბიუროში.

„კომუნისტი"-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და ქვითარებით.

## პროვინციაში:

ფოსტის უწყების ყველა დაწესებულებებში.

„კომუნისტი"-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და რკინის გზის კიოსკებში.

## ჟურნალის ფასი:

| | |
|---|---|
| 1930 წლის ბოლომდე | —2 მ. 50 კაპ. |
| 6 თვით . . . . . | —1 მ. 50 კაპ. |
| 3 თვით . . . . . | — 75 კაპ. |
| 1 თვით . . . . . | — 25 კაპ. |

ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ.

„კომუნუსტი"-ს გამომცემლობა.

მთავლ. № 920. ტირაჟი 6000. საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი" გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობა.